სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დოდო პერტაია

ამერიკის შეერთებული შტატების გადაქცევა თანამედროვე ზესახელმწიფოდ

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2014

UDC(უაკ) 94(73)
პ-303

ნინამდებარე ნარკვევი მკითხველს აცნობს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი აქტორის და გლობალური ლიდერის - ამერიკის შეერთებული შტატების ზესახელმწიფოდ ფორმირების პროცესს. არსებითად პოზიტიური ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია ამ პროცესის ძირითადი ტენდენციები, სამხედრო-სტრატეგიული, ეკონომიკური და პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფაქტორები.

ნარკვევში საგანგებო ყურადღება ეთმობა ზესახელმწიფოს სტატუსის უზრუნველმყოფელ დოქტრინებს, როგორც საერთაშორისო არენაზე აშშ-ს ქცევის მოდელებს. განვითარებულია საგულისხმო მოსაზრება, რომ აშშ-ს ზესახელმწიფოდ გადაქცევის მნიშვნელოვანი გლობალური ფაქტორი იყო „ცივი ომი" და საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შეკავების აუცილებლობა.

განკუთვნილია უახლესი ისტორიით, გეოპოლიტიკით და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორი: პროფესორი **დაზმირ ჯოჯუა**

რეცენზენტი: პროფესორი **კახა კვაშილავა**

© დ. პერტაია 2014

გამომცემლობა „უნივერსალი", 2014

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19. ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-283-2

§ 1. შეერთებული შტატების განვითარების თავისებურებები XVIII- XIX საუკუნეებში

XX საუკუნის მსოფლიო ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა საერთაშორისო არენაზე ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ზესახელმწიფოს, გამოჩენა და დამკვიდრება იყო. ეს პროცესი არც თუ დიდი ხნის წინ დაიწყო და დღესაც გრძელდება.

ზესახელმწიფო - ესაა უძლიერესი სახელმწიფო, კოლოსალური პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით, რომელიც ფლობს უპირატესობას სხვა სახელმწიფოთა უმრავლესობაზე, რაც აძლევს მას შესაძლებლობებს განახორციელოს ჰეგემონია არა მარტო თავის რეგიონში, არამედ პლანეტის ყველაზე შორეულ წერტილებშიც.

1944 წელს უილიამ ფოქსმა თავის წიგნში „ზესახელმწიფო“, ეს ტერმინი გამოიყენა „დიდი სამეულის“ ქვეყნებთან მიმართებაში. 1964 წელს ჩინეთის ლიდერმა მაო ძედუნმა კი ტერმინი „ზესახელმწიფო“ გამოიყენა იაპონიის სოციალისტური პარტიის დელეგაციასთან საუბრისას. მან დაადანაშაულა სსრ კავშირი, რომელიც „ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთქმულებაში შევიდა მსოფლიო ბატონობისათვის“ და ორივე მოიხსენია ზესახელმწიფოდ, რომელთაც გააჩნიათ ისეთი სამხედრო-ეკონომიკური სიძლიერე, როგორც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს ერთად აღებულს და ავლენენ "მსოფლიო ისტორიაში არნახულ აგრესიულ ზრახვებს".

ზესახელმწიფოს მაოისტურმა გაგებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ჰენრი კისინჯერის, სტივენ კოენის და ზბიგნევ ბჟეზინსკის ნაშრომებში. ბჟეზინსკის აზრით, არსებობს ოთხი ფაქტორი, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოს ზე-

სახელმწიფოდ აღიარებაში: სამხედრო, ეკონომიკური. მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული.[1]

შეერთებული შტატების ისტორია, ამ სახელმწიფოს აღმოცენებიდან, არის ქვეყნის ეკონომიკის განუხრელად განვითარებისა და დემოკრატიული მმართველობის სრულყოფის ისტორია.

ამერიკის ზესახელმწიფოდ გადაქცევის მატერიალური წანამძღვრები ათეული წლების განმავლობაში მზადდებოდა.

სამეცნიერო-ისტორიულ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრება აშშ-ს დიპლომატიის ძირითადი პრინციპების შეფასების თაობაზე. ისტორიკოსების ერთ ჯგუფს მიაჩნია, რომ შეერთებული შტატების მთელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ევროპულ პოლიტიკასთან, მეორენი კი მიიჩნევენ, რომ იზოლაციის პოლიტიკა ამერიკის პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენდა. ევროპაში აქტიური როლის შესრულებაზე უარის თქმა სრულებითაც არ ნიშნავდა ევროპული და მსოფლიო პოლიტიკისაგან აშშ-ს თვითჩამოცილებას. ამერიკელები ყოველთვის ღებულობდნენ მასში მონაწილეობას, მაგრამ მეტწილად პასიურად, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავიანთი მანევრებით ზემოქმედებდნენ ამა თუ იმ მოვლენის მსვლელობაზე ევროპაში.

ამრიგად, იზოლაციონიზმი, რომელსაც ახორციელებდნენ შეერთებული შტატები თავიანთ საგარეო პოლიტიკაში 150 წლის განმავლობაში, არ იყო ევროპისაგან იზოლაცია. იგი ევროპულ საქმეებში მონაწილეობა იყო პასიური მანევრების გზით.[2]

---

[1]**Большая актуальная политическая энциклопедия \под общ. ред. А. Белякова и О. Матвейчева. М.: ЭКСМО, 2009.**

[2]ალ. მენთეშაშვილი. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, ნიგნი 11, 1799-1918, თბ., 2000, გვ. 205

ამის დასტურია ის ფაქტი, რომ XVIII საუკუნის მიწურული და XIX საუკუნის პირველი ნახევარი შეერთებული შტატების სწრაფი ტერიტორიული ექსპანსიის პერიოდია. თუ 1790 წელს ამერიკის ტერიტორია შეადგენდა 888,8 ათას კვ. მილს (კვ. მილი= 2,58999 კმ²), ლუიზიანას შემოერთების შემდეგ (ამერიკამ 1803 წელს საფრანგეთისაგან იყიდა 15 მლნ დოლარად), მისი ფართობი თითქმის ორჯერ გაიზარდა. 1818 წლიდან 1853 წლამდე ინდიელებთან და მექსიკასთან დაპყრობითი ომებისა და ახალი მიწების კოლონიზაციის შედეგად, შეერთებული შტატების ტერიტორია მოიცავდა 3027, 8 ათას კვ. მილს. ინდიელების ჩამორჩენილობა და დაქუცმაცებულობა, ესპანეთის კოლონიებისა და მექსიკის სისუსტე უადვილებდა აშშ-ს ტერიტორიულ ექსპანსიას. ევროპის სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობები და ომები შეერთებული შტატებისათვის დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორები იყო ტერიტორიული ექსპანსიის განხორციელებისას, რადგანაც ამ სახელმწიფოებს არ ეძლეოდათ ამერიკის კონტინენტზე მიმდინარე მოვლენებში აქტიურად ჩაბმის საშუალება.

შეერთებული შტატების ექსპანსიონისტური პოლიტიკა სამ ეტაპად წარიმართა. იგი განვითარდა თვით დასავლეთ ნახევარსფეროს მიმართ და მისი პირველი მსხვერპლი იყვნენ ადგილობრივი აბორიგენები-ინდიელები. ექსპანსია იმავდროულად გავრცელდა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის მიმართ. მეორე ეტაპზე, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება, ჩნდება ახალი კერა წყნარი ოკეანის აუზის სახით, მესამე ეტაპზე, რომელიც XIX- XX სს. მიჯნაზე ვითარდება, აშშ უკვე მსოფლიო პოლიტიკის განხორციელებას იწყებს.

სამხედრო ექსპანსიის შედეგად 1776-1900 წლებში, აშშ-ს ტერიტორია ათჯერ გაიზარდა და 3 მლნ კვ. მილს გადააჭარბა.

ამერიკის მსოფლიო ძლევამოსილ სახელმწიფოდ გადაქცევის გზაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1823 წელს წამოყენებული „მონროს დოქტრინა", რომლის ავტორი შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯ. მონრო იყო. დოქტრინის არსი გამოიხატებოდა იმაში, რომ შეეჩერებინა ევროპის კოლონიალიზმის გავრცელება დასავლეთ ნახევარსფეროზე, რომელიც ამერიკის გავლენის სფეროდ ცხადდებოდა. ამით ქვეყნის აღმავალი ძლიერება ამერიკის კონტინენტზე მერიდიანული ექსპანსიისაკენ წარიმართა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო შეერთებული შტატების განედური ექსპანსია, ანუ მისი გავლენის ევრაზიის კონტინენტზე გავრცელება. ამერიკის ექსპანსია ემყარებოდა გენ. მაკკელანის მიერ შემუშავებულ „ანაკოდას სტრატეგიას", რომელიც მტრული ტერიტორიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ ბლოკირებაში მდგომარეობს, რასაც მოწინააღმდეგე სტრატეგიულ გამოფიტვამდე მიჰყავს.

ეს სტრატეგია გამოყენებულ იქნა ამერიკაში 1861-1865 წლების სამოქალაქო ომის დროს. ადმირალმა ა. მეჰენმა აღნიშნული სტრატეგია მსოფლიო მასშტაბებს მოარგო და თავის ნაშრომებში დასახა ის სტრატეგიული მიზნები, რითაც შეერთებული შტატების, როგორც საზღვაო იმპერიის, მოწინააღმდეგედ ევრაზიის კონტინენტური სახელმწიფოები-რუსეთი, ჩინეთი და გერმანია დასახა. ამ სტრატეგიას აშშ წარმატებით იყენებდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში და იყენებს ახლაც.[3]

[3] ს. მანჯავიძე. დასავლეთი, ანუ აშშ-ევროკავშირი და საქართველო. გაზ. „რეზონანსი", 2013 წლის 23 დეკემბერი.

XIX საუკუნის შუა წლებში ტერიტორიული დაპყრობების შედეგად შეერთებულმა შტატებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს თავიანთი საზღვრები. ამერიკა უკვე ფლობდა წყნარი ოკეანის სანაპიროს კანადიდან სამხრეთ კალიფორნიამდე.

სამოქალაქო ომმა ამერიკაში მცირე დროით შეაჩერა სწრაფვა ტერიტორიული ექსპანსიისაკენ, მაგრამ პრეზიდენტმა ენდრიუ ჯონსონმა (1865-1869) ისევ განაახლა ეს კურსი, რაც გაამართლა „მონროს დოქტრინით". 1867 წელს შეერთებულმა შტატებმა რუსეთისაგან 7,2 მლნ დოლარად შეიძინეს კ. ალიასკა და ალეუტის კუნძულები.

წარმოების განვითარებას მძლავრი სტიმული მისცა ტექნიკურმა რევოლუციამ. 1793 წელს გამოიგონეს ბამბის საწმენდი მანქანა, 1807 წელს წყალში ჩაუშვეს ორთქლის გემი, 1831 წელს გამოიგონეს სათიბი მანქანა, 1832 წელს- პირველი ტელეგრაფი, 1836 წელს შექმნეს სამკალი მანქანა, ფოსფორიანი ასანთი, 1846 წელს - ფეხსაცმლის საკერავი მანქანა, 1849 წელს- ტურბინა, 1851 წელს აიგო პირველი ელმავალი და ა.შ.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებული მიღწევები შეინიშნება ტრანსპორტის დარგში. 1807 წელს გამოსცადეს ფულტონის ორთქლმავალი გემი, 20-იანი წლებიდან კი ფართოდ გამოიყენებოდა სამდინარო ტრანსპორტი. 1838 წლიდან იწყება რეგულარული მიმოსვლა ორთქლის გემებით ატლანტის ოკეანეში, თუმცა XIX საუკუნის შუა წლებში აშშ-ს სავაჭრო ფლოტი ძირითადად იალქნიანი გემებისაგან შედგებოდა. 1825 წელს გაიხსნა ერის არხი, რომელმაც დააკავშირა დიდი ტბები მდ. ჰუდსონის გავლით ატლანტის ოკეანის სანაპიროსთან. 20-იანი წლების ბოლოდან იწყება რკინიგზის მშენებლობა, რომლის საერთო სიგრძემ 1850 წელს 9 ათას მილს მიაღწია.

კიდევ უფრო მეტ ეკონომიკურ წარმატებებს აღწევს ამერიკა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. 1894 წელს იგი მსოფლიოს პირველი სამრეწველო ქვეყანა ხდება. 1860 წელთან შედარებით 1894 წლისათვის წარმოების პროდუქციის საერთო ღირებულება 7-ჯერ გაიზარდა. თუ 1860 წელს წარმოებაში დაბანდებული იყო 1 მილიარდი დოლარი და მრეწველობაში დასაქმებული იყო 1,5 მლნ მუშა, დაახლოებით ნახევარი საუკუნის შემდეგ კაპიტალდაბანდებამ 12 მილიარდს გადააჭარბა, წარმოებაში კი 7,5 მილიონზე მეტი მუშა იყო დასაქმებული. თუ სამოქალაქო ომამდე აშშ ეკონომიკურად ევროპის კოლონიად რჩებოდა, ომის შემდეგ ერთი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იგი მსოფლიოში უპირველეს ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყანად იქცა.

XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ამერიკა მაღალგანვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანა იყო. XIX საუკუნის ბოლო ოცი წლის განმავლობაში აქ ხორბლის მოყვანა 5-ჯერ გაიზარდა, ხოლო საუკუნის დასასრულს წარმოებული ხორბლის მსოფლიო პროდუქციის 1|4 აშშ-ზე მოდიოდა. 1900 წლისათვის მსოფლიო ბამბის წარმოების 85-90% ამერიკაზე მოდიოდა. 1870-1903 წწ აშშ-ში საგარეო ვაჭრობის საერთო მოცულობა გაიზარდა 3,5-ჯერ.[4]

XIX საუკუნის 70-იან წლებში შეერთებული შტატები ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი ქვეყანა იყო და მსოფლიო ჰეგემონობაზე აცხადებდა პრეტენზიას.

შემდგომი ეკონომიკური განვითარების ინტერესები, ისევე, როგორც ევროპის ახალგაზრდა კაპიტალისტურ ქვეყნებს, ამერიკის მმართველ წრეებსაც უბიძგებდნენ ეზრუნათ კოლონიების შეძენაზე. ამ მხრივ ერთგვარ ტეხილად შეიძლება ჩაითვალოს აშშ-ესპანეთის 1898 წლის ომი, რო-

[4] ახალი ისტორია. მეორე პერიოდი, წიგნი 1, თბ., 1973, გვ. 202.

გორც პირველი „ტერიტორიული გადანაწილების ომი“ ისტორიაში. აშშ-მ დაამარცხა ესპანეთი და დაეუფლა კუბას, რომლის ოკუპაცია შეერთებულმა შტატებმა 1899 წელს მოახდინა, ფილიპინებს, რისთვისაც ესპანეთმა გამოსასყიდის სახით ამერიკელებისაგან 20 მილიონი დოლარი მიიღო, პუერტო რიკოს, ასევე ჰავაის და კაროლინის სტრატეგიული მნიშვნელობის კუნძულებს წყნარი ოკეანის აუზში.

ესპანეთთან ომის შედეგად შეერთებული შტატები გადაიქცა ატლანტისა და წყნარი ოკეანის სახელმწიფოდ.

მსოფლიო პოლიტიკაში უფრო აქტიური ჩაბმა ამერიკამ დაიწყო XIX-XX სს. მიჯნაზე, როდესაც ნათლად გამოიკვეთა ორი ტენდენცია: ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების სწრაფი ზრდა და იმ საერთაშორისო სისტემის თანდათანობითი რღვევა, რომლის ცენტრსაც ევროპა წარმოადგენდა. სწორედ ეს კარდინალური ცვლილებები გახდა ყველაზე თვალსაჩინო შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებისათვის XX საუკუნის დასაწყისში. დროის ეს მონაკვეთი მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყნის ორი პრეზიდენტის-თეოდორ რუზველტის (1901-1909) და ვუდრო უილსონის (1913-1921) მმართველობის წლებთან. სწორედ ამ ორმა ლიდერმა დაიწყო ამერიკელი ხალხის დარწმუნება იმაში, რომ მათმა ქვეყანამ უნდა შეასრულოს გადამწყვეტი როლი მსოფლიო პოლიტიკაში.

თ. რუზველტი იყო შეერთებული შტატების ის პირველი პრეზიდენტი, რომელმაც მსოფლიო დონის მოღვაწის როლის თამაში დაიწყო. მან „მონროს დოქტრინის“ მოტივით განახორციელა უხეში ჩარევები ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში. მისი დიდი მიღწევა იყო შუამავლობა რუსეთსა და იაპონიას შორის 1905 წელს და მასპინძლობა პორტსმუტის საზავო მოლაპარაკებაზე, რომლითაც ეს ომი დასრულდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თ. რუზველტს ამ ომის დამ-

თავრებაში შეტანილი წვლილისათვის 1906 წელს ნობელის პრემია მიენიჭა.

1906 წელს შეერთებული შტატები მონაწილეობდნენ ალხესირასის საერთაშორისო კონფერენციაზე მაროკოს საკითხთან დაკავშირებით, 1907 წელს კი ამერიკის ახლად აგებული სამხედრო ფლოტი დედამიწის გარშემო იწყებს მოგზაურობას და ამით სამხედრო ძალის აშკარა დემონსტრირებას ახდენს.

ამერიკამ თავისი პროტექტორატი დაამყარა პანამაზე, ერეოდა დომინიკის რესპუბლიკისა და ნიკარაგუას საშინაო საქმეებში. ამდენად, თ. რუზველტმა გადაუხვია ევროპის საქმეებში ამერიკის ჩაურევლობის ტრადიციული პოლიტიკური გზიდან. ამერიკელი ავტორი ბ. ადამსი თავის წიგნში „ამერიკული ეკონომიკური უპირატესობა" ასე ამართლებდა თ. რუზველტის დაუფარავ ექსპანსიონიზმს: „ვატერლოოდან მოყოლებული 1899 წლამდე, დიდი ბრიტანეთი მოქმედებდა როგორც ადამიანთა საზოგადოების გამაწონასწორებელი ძალა და გამოდიოდა როგორც ცივილიზაციის მატარებელი. ბურებთან ომის დამთავრების შემდეგ, ეს პერიოდი, როგორც ჩანს, დამთავრდა... ცხადია, ამერიკამ მთელი შესაძლებლობებით უნდა დაიკავოს ინგლისის ადგილი".[5]

XIX საუკუნის დამლევს ამერიკის ტექნიკური პროგრესი ჩქარი ტემპებით ვითარდება. აღსანიშნავია მანქანათმშენებლობა, სარკინიგზო მშენებლობა, ვაჭრობა, საბანკო საქმე, მეტალურგია, აეროკოსმოსური, ქიმიური წარმოება. მიმდინარეობდა მსხვილი მონოპოლისტური გაერთიანებების შექმნა. XIX ს-ის ბოლოს ამერიკაში 445 სამრეწველო და სატრანსპორტო ტრესტი იყო 20 მლრდ დოლარის კაპიტალით.

---

[5]Adams B. America's Economic supremacy. N.-Y., 1900, გვ. 221-222

ეკონომიკის წარმატებები უზრუნველყოფილ იქნა კონტინენტზე მშვიდობიანი პერიოდით. სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ აშშ-მ მოკლე დროში შესძლო ყველაზე უფრო განვითარებულ სახელმწიფოდ გადაქცეულიყო მსოფლიოში.

შეერთებული შტატების ასეთი წარმატებები განპირობებული იყო იმით, რომ სამოქალაქო ომის შედეგად მონობისა და მონური შრომის ლიკვიდაციამ სამხრეთ შტატებში მოხსნა ყოველგვარი დაბრკოლება და ხელისშემშლელი ფაქტორები მრეწველობის განვითარებისათვის. ამერიკაში არ იყო არც სამეფო, არც მსხვილი არისტოკრატიული და არც საეკლესიო მიწათმფლობელობა. ქვეყნის მიწების ნახევარზე მეტი მთავრობის ხელში იყო და ძალზე იაფად აძლევდა მეწარმეებს და ბანკირებს, რომელთა საკუთრებაში აღმოჩნდა უზარმაზარი მიწის ფონდი.

შეერთებულ შტატებში მაშინ მიწის რენტის გადასახადიც არ იყო, რის წყალობითაც თავისუფალი კაპიტალი ხმარდებოდა მრეწველობის განვითარებას. აშშ მდიდარი იყო ბუნებრივი წიაღისეულით, ქვანახშირით, რკინის მადნით, ნავთობით, სპილენძით და ხე-ტყით, რაც ხელს უწყობდა მრეწველობის დაჩქარებული ტემპებით ზრდას. ამ მხრივ წამყვანი სტიმული გახდა ევროპული კაპიტალის მოზღვავება ამერიკის მრეწველობაში, დასავლეთის სწრაფი კოლონიზაცია, რკინიგზის ენერგიული მშენებლობა, რომლის შედეგად ათვისებულ იქნა უზარმაზარი თავისუფალი სივრცეები. შეიქმნა და განვითარდა ვრცელი შიდა ბაზარი. შეიქმნა ახალი შტატები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამერიკელმა ფერმერებმა აითვისეს დასავლეთის მიწების უზარმაზარი მასივი 40 წლის განმავლობაში-1900 წლამდე. ჰომსტედების (ინგლ. Homestead- აშშ-ში მიწის ნაკვეთი,

რომელიც ეძლეოდათ ახალმოსახლეებს უფასოდ ან შეღავათით) აქტის საფუძველზე ფერმერებმა მიიღეს 81 მლნ ჰექტარი სახელმწიფო მიწა და განავითარეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგები.

ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა „ახალი ემიგრანტების" ტალღამ, რომლებიც ძირითადად ცენტრალური და სამხრეთ ევროპიდან იყვნენ გამოსული. („ძველ ემიგრანტებს" უწოდებდნენ ბრიტანეთიდან, ირლანდიიდან, გერმანიიდან და სკანდინავიიდან გადმოსახლებულებს). „ახალი ემიგრანტების" რაოდენობამ 1900 წლიდან 1914 წლამდე შეადგინა 13 მლნ კაცი, რომელთა უმეტესობა კომპაქტურად დასახლდა ქალაქებში და ძირითადად დაკავებული იყო არაკვალიფიციური დაბალხელფასიანი სამუშაოთი. ამ 13 მილიონიდან 1 მილიონი, რუსეთიდან დარბევის შიშით გამოქცეული, ებრაელობა იყო, რომელთა მეშვეობით განვითარდა ნიუ-იორკში მანუფაქტურული წარმოება და საბანკო საქმე. საერთოდ 1851 წლიდან 1910 წლამდე თითქმის 18 მლნ ემიგრანტი დასახლდა ამერიკაში. აქედან 90% ევროპიდან იყო ემიგრირებული.[6]

სხვადასხვა ეროვნების ხალხების თანაცხოვრების შედეგად წარმოშობილი ტოლერანტობის ტენდენციები გახდა ძირითადი ფაქტორი შეერთებული შტატების განვითარებისათვის. ემიგრანტებმა თან ჩაიტანეს ევროპული მიღწევები, ცოდნა და გამოცდილება წარმოების ყველა დარგში, რომლის წყალობითაც აშშ-ს სწრაფი ინდუსტრიალიზაცია ხდებოდა ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე. ამერიკამ ყველაფერი გადაიღო და განავითარა ის, რაც ევროპულმა გამოცდილებამ შექმნა.

---

[6] ნ. ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია-XX საუკუნე. თბ., 2002, გვ. 8-9.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის რაოდენობის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ზრდამ შეერთებულ შტატებში ფენომენალურ ტემპებს მიაღწია.

თუ ჩვენ ამ ქვეყნის მოსახლეობის ზრდის ტემპებს ევროპის ქვეყნების მოსახლეობის ზრდას შევადარებთ, აშკარაა, როგორ უცბად გადაიქცა ამერიკის შეერთებული შტატები თანამედროვე ზესახელმწიფოდ. 1880 წელს მისი მოსახლეობა გერმანიისას მხოლოდ 5 მილიონით აჭარბებდა, ამ მხრივ ის ევროპის ქვეყნებისგან დიდად არ განსხვავდებოდა, მაგრამ მოკლე ხანში ეს მაჩვენებელი მის სასარგებლოდ მკვეთრად შეიცვალა, რაც შეერთებული შტატების ზესახელმწიფოდ გადაქცევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა. 1930 წლისათვის გერმანიაში თუ 64,3 მილიონი კაცი ცხოვრობდა, ამერიკაში მან 138,4 მილიონს მიაღწია.

ამერიკის ეკონომიკურ წარმატებებს ხელი შეუწყო პოლიტიკურმა და სოციალურმა მოვლენებმაც. XIX ს-ის ბოლო მესამედში შეერთებულ შტატებში საბოლოოდ განმტკიცდა საპრეზიდენტო ტიპის რესპუბლიკა და ორპარტიული სისტემა.

XX საუკუნის დამდეგს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, სამრეწველო წარმოება გაორმაგდა და დაეწია სოფლის მეურნეობის წარმოებას, რომელიც მანამდე ეროვნული სიმდიდრის მთავარი წყარო იყო. XX საუკუნეში ამერიკა გადაიქცა ინდუსტრიულ ქვეყანად, მზარდი ქალაქებით და რკინიგზებით, რომელიც სამრეწველო შუა დასავლეთს აკავშირებდა ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილთან.

სამრეწველო წარმოების საერთო მოცულობით შეერთებულმა შტატებმა პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიოში და უკან ჩამოიტოვა ევროპის ძველი კაპიტალისტური ქვეყნები. ამერიკის გადაქცევა ინდუსტრიულ ქვეყნად მიმდინა-

რეობდა წარმოების კონცენტრაციით და კაპიტალის ცენტრალიზაციით, განუწყვეტლივ ხდებოდა საბანკო და სამრეწველო კაპიტალის ურთიერთშერწყმა.

ამრიგად, სამოქალაქო ომის შემდგომი პერიოდიდან მოყოლებული პირველ მსოფლიო ომამდე აშშ-ში სწრაფად ვითარდება მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომლის შედეგადაც ძირეულად შეიცვალა მრეწველობის სტრუქტურა და მისი ორგანიზაციული ფორმები. აღმოცენდა მრეწველობის ახალი დარგები- ელექტროტექნიკური, ქიმიური, მანქანათმშენებლობა და მრავალი სხვ.[7]

როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები, დიდი ხნის განმავლობაში, თვით პირველ მსოფლიო ომამდე, რჩებოდა ნეიტრალურ ქვეყნად ევროპაში მიმდინარე მოვლენებისადმი. ამერიკელი დიპლომატები და სამხედროები დაკავებულნი იყვნენ ცენტრალური ამერიკის საქმეებით და ნაკლებად ფიქრობდნენ მსოფლიო პოლიტიკური ცენტრის-ევროპის საქმეებში ჩარევაზე. ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, რაც 1912 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა ვუდრო უილსონმა (1913-1921) დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა უისტონ ჩერჩილმა ვ. უილსონი ასე დაახასიათა: „ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედება, რომელმაც შეცვალა ისტორია, არმაგედონის საშინელ პერიოდში დამოკიდებული იყო ამ ადამიანის ჭკუისა და სულის მუშაობაზე იმდენად, რომ მასთან შედარებით სხვა ფაქტორები კარგავდნენ მნიშვნელობას".[8]

1915 წელს უილსონმა ამერიკის საზოგადოებას გააცნო თავისი დოქტრინა, სადაც შეერთებული შტატების უშიშრო-

---

[7] ნ. ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების ... გვ. 7-10.

[8] ვუდრო ვილსონი- «როდესაც ომი დამთავრდება, ჩვენ ვაიძულებთ მეომარ ქვეყნებს იაზროვნონ ჩვენებურად„. იხ. https:\\nanaberuashvili.wordpress.com\

ება დანარჩენი მსოფლიოსაგან განუყოფელი ხდებოდა. იგი მიიჩნევდა, რომ ამერიკის ვალია წინ აღუდგეს აგრესიას, სადაც არ უნდა იყოს ის. „ჩვენ მოვედით, რათა ვიხსნათ მსოფლიო თავისუფლებითა და სამართლიანობით"[9]- აცხადებდა ვ. უილსონი.

წარმოდგენა ამერიკის შეერთებულ შტატებზე, როგორც კეთილ საერთაშორისო პოლიციელზე, ამართლებდა გლობალურ ინტერვენციონიზმს. უილსონის აზრით, არ იყო არსებითი განსხვავება თავისუფლებისა ამერიკისათვის და თავისუფლებისა ყველასათვის. ის თავის ხალხს მიზნად უსახავდა, რომ ამერიკას უნდა დაეკავებინა ღირსეული ადგილი ელიტის ანუ დიდ სახელმწიფოებს შორის. ამავე დროს, შეერთებული შტატები არ უნდა დამორჩილებოდა ძალთა წონასწორობის კანონებს.

[9] Шлезингер А. М. Циклы американской истории. М. 1992, გვ. 81.

§ 2. მსოფლიო ომები და შეერთებული შტატების სწრაფვა გლობალური ლიდერობისაკენ

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ, ამერიკის გავლენიანმა პოლიტიკურმა წრეებმა მოითხოვეს, რათა შეერთებულ შტატებს ერთნაირი პოზიცია დაეკავებინა ორივე მეომარი მხარის მიმართ და არ ჩარეულიყო ომში.

1914 წლის 4 აგვისტოს ვ. უილსონმა ოფიციალურად გამოაცხადა აშშ-ს ნეიტრალიტეტი „არა მარტო მოქმედებით, არამედ სიტყვითაც". იგი არწმუნებდა კონგრესს იმაში, რომ შეერთებული შტატების განსაკუთრებული მისია ყოველდღიურ დიპლომატიაზე მაღლა დგას და ავალდებულებს მას ემსახუროს, დანარჩენ კაცობრიობას, როგორც „თავისუფლების შუქურა".

„ჩვენ ვაპირებთ საკუთარი ცხოვრებით ვიცხოვროთ ჩვენი შეხედულებისამებრ, მაგრამ ჩვენ ვაპირებთ სხვასაც მივცეთ ცხოვრების საშუალება. ჩვენ სინამდვილეში ვართ ყველა ქვეყნის მეგობარი, რადგან არ ვემუქრებით არც ერთი მათგანის სამფლობელოებს, არ გვსურს მათი დამარცხება"[10]- აცხადებდა ვ. უილსონი.

ამერიკის შეერთებულ შტატებს ომამდე დიდი რაოდენობით გაჰქონდა მარცვლეული და ბამბა. ამ უკანასკნელის შესყიდვაში გერმანიას მეორე ადგილი ეკავა, მაგრამ ომის დაწყების შემდეგ ვაჭრობა ევროპასთან მნიშვნელოვნად შემცირდა, რამაც გამოიწვია ფასების მკვეთრი დაცემა სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე. ანტანტა ახდენდა გერმანიის და მისი მოკავშირეების პორტების ბლოკირებას, რის გამოც შეერთებული შტატების ვაჭრობა ამ ქვეყნებთან ფაქტობრივად შეწყდა. ქვეყნის შიგნით შექმნილმა სიძნელეებმა

[10] ვუდრო ვილსონი-„როდესაც ომი დამთავრდება...

აიძულა უილსონი გაეზარდა საგარეო ვაჭრობა ანტანტასთან და ნეიტრალურ ქვეყნებთან. ამერიკის გემები ვერ აუდიოდნენ საქონლის გატანას ევროპაში, ამიტომ მთავრობამ დააფინანსა სავაჭრო და სამხედრო ფლოტის მშენებლობა.

ამერიკელები ვაჭრობდნენ პრინციპით: „გადაიხადე და წაიღე“. თავდაპირველად ანგარიშსწორება ხდებოდა ინგლისური სტერლინგით და ფრანგული ფასიანი ქაღალდებით, მაგრამ 1916 წლის ნოემბრიდან ამერიკის ბანკმა უარი თქვა ანგარიშსწორებაზე ინგლისური სტერლინგით და ფრანგული ფრანკით და მოითხოვა შესყიდული საქონლის ოქროთი ანაზღაურება. ოთხი თვის განმავლობაში (1916 წ. დეკემბერი-1917 წ. აპრილამდე) ლონდონიდან და ინგლისის კოლონიებიდან შეერთებულ შტატებში გაგზავნეს 1 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების ოქრო. ომში ჩაბმამდე აშშ-მ თითქმის 2 მილიარდი დოლარის სესხი გამოუყო ინგლისსა და საფრანგეთს, 27 მილიონი დოლარი კი- გერმანიას.

ომში ჩაბმამდე უილსონი აცხადებდა, რომ ამერიკა წინ აღუდგებოდა ნებისმიერ მცდელობას ომისშემდგომი მსოფლიო წესრიგი ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო პოლიტიკის უკვე დამყარებულ პრინციპებზე. მისი აზრით, საჭირო იყო არა ძალთა წონასწორობა, არამედ „ძალთა ერთობლიობა, არა ორგანიზებული მეტოქეობა, არამედ ორგანიზებული საყოველთაო მშვიდობა!“. „ძალთა ერთობლიობაში“ იგი გულისხმობდა ახალ კონცეფციას- „კოლექტიური უშიშროების“ კონცეფციას. უილსონის ამ თეორიის მიხედვით, ძალას უნდა დაეთმო გზა მორალისათვის და იარაღის ძლიერება უნდა დამორჩილებოდა საზოგადოებრივი აზრის კარნახს.

ვ. უილსონის მეორე საპრეზიდენტო არჩევნები წარიმართა ლოზუნგით: „მან შეგვაჩერა ჩვენ ომში ჩაბმისაგან“.

1917 წლის 22 იანვარს უილსონმა სენატში წამოაყენა „მშვიდობა გამარჯვების გარეშე“ და მსოფლიოს შესთავაზა „მონროს დოქტრინა“, როგორც მთელი კაცობრიობის დოქტრინა.[11] იგი ჰპირდებოდა ამერიკელებს, რომ არ ჩაერეოდა სხვა ქვეყნების საქმეებში და არ დაიპყრობდა მათ ტერიტორიებს. მისი აზრით, „თუ მსოფლიოს ნამდვილად სურს მშვიდობა, უნდა მისდიოს ამერიკის მორალურ დანიშნულებებს“. მან დიდი ძალისხმევა გამოიჩინა, რათა გააერთიანებინა დასავლეთ ნახევარსფეროს ქვეყნები „პანამერიკულ ლიგად“, რომლის ეგიდის ქვეშ ყველა დავა მშვიდობიანად უნდა გადაჭრილიყო. მიუხედავად ამ ყველაფრისა, თავისი პრეზიდენტობის წლებში უილსონმა 7-ჯერ მოახდინა სამხედრო ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში, 2-ჯერ მოაწყო ინტერვენცია მექსიკაში, შემდეგ - ნიკარაგუაში. მოახდინა ჰაიტის და დომინიკეს ოკუპაციაც, აიძულა დანია 25 მილიონად მიეყიდა შეერთებული შტატებისათვის ვესტ-ინდოეთის კუნძულები.

ნეიტრალიტეტის მომხრეები-ქვეყნის გავლენიანი სამხედრო და პოლიტიკური წრეები-მალე დარწმუნდნენ, რომ მიმდინარე ომში გერმანიის გამარჯვება საშიშროებას შეუქმნიდა ამერიკის არა მარტო საერთაშორისო პოზიციებს, არამედ თვით აშშ-ს დამოუკიდებლობას. პრეზიდენტიც შეუერთდა ანტანტის მხარეზე ომში ჩაბმის მოძრაობას, მაგრამ ომის გამოცხადება კონგრესის პრეროგატივა იყო.

გერმანიის წყალქვეშა ნავების მიერ სამგზავრო გემების განუკითხავმა ჩაძირვამ და გერმანიის აგენტურის ანტიამერიკულმა საქმიანობამ ლათინური ამერიკის ქვეყნებში, საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია, რასაც ზედ დაერთო გერმანიის მიერ 1917 წლის 1 თებერვლიდან გამოცხადებუ-

[11]Link A (ed.) The Papers of Woodrow Wilson W. An Address to the senate. January 22, 1917,v. 40, Princeton, 1982, გვ. 539.

ლი „ბლოკადის ზონაში“ ყოველგვარი საზღვაო ნაოსნობის აკრძალვა. ასევე გერმანია იმუქრებოდა აბსოლუტური და შეუზღუდავი წყალქვეშა ომით. გერმანია აშშ-ს უფლებას აძლევდა კვირაში მხოლოდ ერთი სამგზავრო გემის გაყვანისა, რომელიც თეთრი და წითელი ფართე ხაზებით იქნებოდა შეღებილი. ეს კი ვაშინგტონში შეურაცხყოფად აღიქვეს და 1917 წლის 3 თებერვალს შეერთებულმა შტატებმა გერმანიასთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა. 1917 წლის 18 მარტს გერმანიამ ამერიკის სამი გემი ჩაძირა.

ომში ჩაბმამდე უილსონი აცხადებდა, რომ სამართლიანობა მშვიდობაზე ძვირფასია, რომ ამერიკა იბრძოლებს დემოკრატიისათვის. 1917 წლის 2 აპრილს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ამერიკა საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა გერმანიასთან. ამით ამერიკელებს სურდათ პასუხისმგებლობა დაეკისრებინათ გერმანიისათვის. 1917 წლის 6 აპრილს კი კონგრესმა ხმების უმრავლესობით- თითქმის 90%-ით ომი გამოუცხადა გერმანიას, თუმცა პრეზიდენტი აცხადებდა, რომ „ჩვენ არაფერი გვაქვს სადავო გერმანელ ხალხთან. მათ მიმართ ჩვენ მეგობრულ გრძნობებს განვიცდით. მათ არ უბიძგეს თავიანთ მთავრობას ომში ჩაბმისაკენ“.[12]

მთელი ომის განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა 3,5 მილიონი ჯარისკაცი გაიწვია, აქედან 2 მილიონი-ევროპაში. ბრძოლებში მონაწილეობდა 1.300 ათასი ამერიკელი. ომის ბოლოს აშშ-ს სამხედრო ფლოტში იყო 2 ათასი გემი, რომლის პირად შემადგენლობაში კი-600 ათასი მეზღვაური. ომის დროს ამერიკის გემთმშენებლობის მრეწველობა იმდენად გაფართოვდა, რომ ომის დამთავრებისას მისი სა-

[12]Г. Киссинджер. Дипломатия. Глава вторая. Кардинальный вопрос: Теодор Рузвельт или Вудро Вильсон. ob. http://www.rulit.net/books/diplomatiya-read-283887-231.html

წარმოო შესაძლებლობები ორჯერ აღემატებოდა დანარჩენი მსოფლიოს გემთმშენებლობის შესაძლებლობებს.

სულ მალე აშშ-ს ომში ჩაბმის შემდეგ, ვ. უილსონი სწერდა პოლკოვნიკ ჰაუზს: „როდესაც ომი დამთავრდება, ჩვენ ვაიძულებთ მეომარ ქვეყნებს „იაზროვნონ ჩვენებურად", რადგან ისინი ამ მომენტისათვის, სხვა რამეს რომ თავი დავანებოთ, ფინანსურად ჩვენს ხელში იქნებიან".[13]

შეერთებულმა შტატებმა ბრძოლის ველზე დაღუპულთა სახით დაკარგეს 120 ათასი კაცი, ხოლო 230 ათასი კი დაიჭრა. პრეზიდენტ კ. კულიჯის 1928 წლის განცხადებით, აშშ-ს პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯები, რომელიც პირველ მსოფლიო ომთან იყო დაკავშირებული, საერთო ჯამში 100 მილიარდ დოლარს შეადგენდა.

ომის შედეგად ამერიკის ფინანსურმა მაგნატებმა ხელთ იგდეს ნედლეულის წყაროები, გასაღების ბაზრები. ომის დროს უფრო დიდი მასშტაბებით განვითარდა ქვეყნის ეკონომიკა. 1920 წლისათვის სამრეწველო პროდუქციის საერთო დონით აშშ-მ ბევრად უკან ჩამოიტოვა ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია ერთად აღებული 1914-1919 წლებში. ამერიკის ექსპორტი გაიზარდა 3,2-ჯერ, ხოლო ეროვნული პროდუქციის მთლიანი ღირებულება 192 მილიარდი დოლარიდან (1914) 488,7 მილიარდ დოლარამდე (1920) ავიდა.

გაიზარდა შეერთებული შტატების ხვედრითი წილი მსოფლიო წარმოებაში. 1920 წელს აშშ იძლეოდა მსოფლიო ქვანახშირის წარმოების ნახევარს, თუჯისა და ფოლადის წარმოების 3|5, ნავთობის-2|3-ს, ავტომანქანების წარმოების 85%-ს.

---

[13] ვუდრო ვულსონი. „როდესაც ომი დამთავრდება.....

ამერიკის შეერთებული შტატები კინოინდუსტრიის ცენტრადაც იქცა და მისი კინოპროდუქცია მსოფლიო ბაზრის 85%-ს მოიცავდა.

1920 წლისათვის ამერიკის ტერიტორია შეადგენდა 3.022.200 კვადრატულ მილს, რომელზეც თითქმის 106 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. თუ მე-19 საუკუნე ძირითადად ამერიკის ტერიტორიულ ზრდას დაეთმო, მე-20 საუკუნე უკვე მოსახლეობის ზრდით გამოირჩეოდა. 1900 წელთან შედარებით, 1920 წელს მოსახლეობის რაოდენობა 40%-ით გაიზარდა.[14]

შესაბამისად, თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში ამერიკას ევროპაში შორეულ, ნახევრად პროვინციულ ქვეყნად აღიქვამდნენ, ომის შემდეგ მისმა საერთაშორისო ავტორიტეტმა უდიდეს გავლენას მიაღწია.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ის, რომ გამოიკვეთა ახალი ზესახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც აშკარად აღმავლობის გზას ადგა. ამ სახელმწიფოს უზარმაზარი პოტენციალი უფრო და უფრო მასშტაბურად ვლინდებოდა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. ეკონომიკური თვალსაზრისით ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე უფრო ძლიერ სახელმწიფოდ გადაიქცა მსოფლიოში. ამიერიდან აღარავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ამერიკა იქცა მსოფლიო სახელმწიფოდ, რომლის განკარგულებაში იყო ერთმილიონიანი სახმელეთო არმია და ბრიტანულზე უფრო მძლავრი საზღვაო ფლოტი. თუ ომამდე აშშ ევროპის სახელმწიფოების მოვალე (დებიტორი) ქვეყანა იყო, ომის შემდეგ იგი კრედიტორ სახელმწიფოდ გადაიქცა. 1921 წლისათვის ევროპის

[14]ამერიკის ეკონომიკა 1910-1920 წლებში. იხ. http://sheimecne.wordpress.com/tag/

დავალიანებამ შეერთებულ შტატებში შეადგინა15 მილიარდი დოლარი. აშშ-შიც და ლათინურ ამერიკაშიც ომამდე ევროპის ხელში მყოფი ელექტროსადგურების, რკინიგზების, საზღვაო და სამდინარეო გზების, მაღაროების დიდი ნაწილი ამერიკელების ხელში გადავიდა.

ომის შემდეგ მსოფლიო ფინანსურმა ცენტრმა ინგლისიდან და საფრანგეთიდან გადაინაცვლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მსოფლიოს 20 სახელმწიფო, მათ შორის, ძველი დიდი სახელმწიფოები, ინგლისი, საფრანგეთი და ახლად შექმნილი სახელმწიფოები-ჩეხოსლოვაკია, პოლონეთი, იუგოსლავია, ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო, აშშ-ს მოვალე ქვეყანად გადაიქცა.

შეერთებულმა შტატებმა 1914 წლის 1 აგვისტოდან 1917 წლის 1 იანვრის ჩათვლით ომში ჩართულ სახელმწიფოებს 1,9 მილიარდი დოლარის კრედიტი მისცეს. როდესაც აშშ თვითონაც ჩაება ომში, ევროპული ქვეყნებისაკენ სესხის კიდევ უფრო დიდი ნაკადი დაიძრა. პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე კრედიტების საერთო მოცულობამ 10 მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. დაახ. 7 მილიარდი იარაღის, საბრძოლო მასალის, აღჭურვის შეძენაზე დაიხარჯა. ამასთან, ამ ყველაფერს თავად შეერთებულ შტატებში ყიდულობდნენ. ფული შტატებში დარჩა და მის ეკონომიკას სტიმული მისცა.

დიდ ბრიტანეთს ამერიკისათვის ყოველწლიურად 138 მილიონი დოლარი უნდა გადაეხადა. მისი ვალი შეადგენდა 4 მილიარდ 600 მილიონ დოლარს. გერმანიის პრაქტიკულად ყველა რეპარაციას, რომელიც ინგლისს ეკუთვნოდა, აშშ ნთქავდა.[15]

ომის დროს მონოპოლიების სუფთა მოგება არნახულად გაიზარდა და შეადგინა 33,6 მილიარდი დოლარი. ეს უზარმა-

[15] როგორ გამდიდრდა აშშ. იხ. http:\saqinform.ge\.

ზარი სახსრები მსხვილმა კორპორაციებმა ომის შემდეგ ამერიკის მრეწველობაში დააბანდეს, რომლის შედეგად აშშ-ს მრეწველობა მანამდე არნახული მასშტაბებით გაიზარდა.[16]

ომის შემდეგ მსოფლიოში ამერიკის როლის გაზრდამ მის მმართველ წრეებში წარმოშვა ჰეგემონისტური პრეტენზიები. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო პრეზიდენტ უილსონის 1918 წლის 8 იანვრის მიმართვა კონგრესისადმი („14 პუნქტი"), რომელიც წარმოადგენდა კონკრეტულ პროგრამას ომისშემდგომ პერიოდში აშშ-ს ჰეგემონური როლის დამკვიდრებისათვის.

„ბოლშევიზმის შხამი იმიტომ გავრცელდა ასე, რომ იგი იყო პროტესტი იმ სისტემის მიმართ, რომელიც მსოფლიოს მართავდა. ახლა ჯერი ჩვენზეა, ჩვენ უნდა დავიცვათ ახალი წესრიგი სამშვიდობო კონფერენციაზე, თუ შესაძლებელი იქნება სიკეთით, თუ არა ბოროტებით"[17]- აცხადებდა უილსონი და ამით ის ცდილობდა ხელთ ეგდო ინიციატივა მოსალოდნელ დიპლომატიურ და საერთაშორისო მოლაპარაკებებში.

ის მოითხოვდა მსოფლიოს ხალხებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების წესის დამყარებას. მე-14 პუნქტით უნდა შექმნილიყო საერთაშორისო ორგანიზაცია-ერთა ლიგა, რომელსაც ომის შემდგომ პერიოდში უნდა დაეცვა მშვიდობა მთელ მსოფლიოში და განეხორციელებინა საერთაშორისო თანამშრომლობა. უილსონის გეგმით, ერთა ლიგის ხელში უნდა გადასულიყო არა მარტო გერმანიისა და თურქეთის კოლონიების და სამფლობელოების, არამედ სხვა სახელმწიფოების კოლონიების გამგებლობაც. კოლონიური სისტემა უნდა ლიკვიდირებულიყო. გარკვეული დროის განმავლობა-

---

[16] ნ. ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების..... გვ, 21-22.
[17] ალ. მენთეშაშვილი. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის..... გვ. 579-580.

ში ერთა ლიგის გამგებლობაში გადასული კოლონიური ხალხები უნდა მოემზადებინა დამოუკიდებლობისათვის. ერთა ლიგის ხელმძღვანელობა აშშ-ს ხელში უნდა გადასულიყო, რაც ხელს შეუწყობდა ამერიკის, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკური გავლენის გაძლიერებას მთელს მსოფლიოში. მაგრამ უილსონის მიზნებს ასრულება არ ეწერა. ერთა ლიგა კი შეიქმნა, მაგრამ მასში გაბატონებული მდგომარეობა ინგლისმა და საფრანგეთმა დაიკავეს, რასაც ხელი შეუწყო რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელობის ქმედებებმა, რომლებმაც ყველაფერი გააკეთეს, რათა უილსონი დამარცხებულიყო კონფერენციაზე, ეს მათ გზას გაუხსნიდა მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში გასამარჯვებლად.

ასეც მოხდა. 1919 წლის 19 ნოემბრიდან 1920 წლის მარტამდე სენატში მიმდინარეობდა ვერსალის ზავის რატიფიკაციის საკითხის განხილვა. შორსმჭვრეტელურად გაისმა უილსონის სიტყვები ერთ-ერთი გამოსვლისას: თუ ამერიკა უარს იტყვის მშვიდობის შენარჩუნების საერთაშორისო ორგანიზაციაში მონაწილეობაზე, დღევანდელ „მოზარდ თაობას მოუხდება ისეთ ომში მონაწილეობა, რომელთან შედარებით 1914-1918 წლების ომი სათამაშოს დაემსგავსება"-ო.[18]

1920 წლის მარტში სენატმა უარყო ვერსალის ზავიც, ერთა ლიგის წესდებაც და აშშ-ს შესვლა ერთა ლიგაში. ამით „ ამერიკის საუკუნე" პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როგორც ვარაუდობდა უილსონი, არ დადგა. ქვეყანა კვლავ დაუბრუნდა იზოლაციის პოლიტიკას, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ენიჭებოდა უპირატესობა და რომლის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ აშშ-ს უნდა ეზრუნა ამერიკის კონტინენტზე თავისი გაბატონებული მდგომარეობის დაკავებისათვის, არ დაეშვა იქ დასავლეთ ევროპის

[18] ნ. ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების..... გვ. 22.

სახელმწიფოების პოზიციების გაძლიერება და უარი ეთქვა მსოფლიო პოლიტიკის გატარებაზე - ევროპისა და აზიის საქმეებში ამერიკის აქტიურ ჩარევაზე.

რესპუბლიკური პარტიის მთავრობებმა-ჰარდინგმა, კულიჯმა და ჰუვერმა უილსონის ლოზუნგს „საერთაშორისო თანამშრომლობა“ ერთა ლიგის ჩარჩოებში დაუპირისპირეს „იზოლაციონიზმის“ კურსი, რომლის ერთ-ერთი მიმდევარი ამ დროს იყო გავლენიანი სენატორი ლოჯი. ის მოითხოვდა აშშ-ს საგარეო პოლიტიკაში ტრადიციული სამი პრინციპის დაცვას: მონროს დოქტრინა ლათინურ ამერიკაში, „ღია კარების“ დოქტრინის მიღწევა ჩინეთში და უარის თქმა სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე ევროპის ქვეყნებთან და მათ საქმეებში ჩარევაზე. ეს სამი პრინციპი გადაიქცა რესპუბლიკური პარტიის მთავრობების საგარეო პოლიტიკის ოფიციალურ კურსად.

20-იან წლებში შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ნახტომისებური განვითარების წყალობით, რომელიც 1929 წლამდე გაგრძელდა, აშშ 10%-ით უფრო მეტს აწარმოებდა, ვიდრე ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია და იაპონია ერთად აღებული. მართალია, 30-იან წლებში ამერიკის ეკონომიკა მძიმე კრიზისულ და დეპრესიულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში მიაღწია კრიზისამდელ დონეს, ხოლო ომის დროს, ამერიკის ისედაც ძლიერი ეკონომიკური პოტენციალი 2,5-ჯერ გაიზარდა. თუ 1929 წლისათვის მთლიანი ეროვნული პროდუქტი 104,4 მილიარდი დოლარით განისაზღვრებოდა, 1941 წლისათვის იგი 125,8 მილიარდს შეადგენდა.[19]

ფ. რუზველტის პრეზიდენტობის დროს (1933-1945) რთული საერთაშორისო ვითარება იყო მსოფლიოში, რასაც

[19] ნ. ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების..... გვ. 177

განაპირობებდა ფაშისტური სახელმწიფოების მიერ დაწყებული გამალებული შეიარაღება, შეიარაღებული ძალების ზრდა და დიდი ომის გაჩაღებისათვის მზადება. ფაშისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საშიშროებას უქმნიდა აშშ-ს უშიშროებას და საჭიროებდა საგარეო პოლიტიკის შეცვლას, რომლის ინიციატორად სწორედ ფ. რუზველტი გამოვიდა.

30-იან წლებში ამერიკის პოლიტიკურ წრეებში ჩამოყალიბდა ორი მიმართულება-„იზოლაციონისტებისა" და „ინტერნაციონალისტებისა". ორივენი შეერთებული შტატებისათვის მშვიდობის უზრუნველყოფას უჭერდნენ მხარს, მაგრამ განსხვავებული მეთოდებით, გზებით და საშუალებებით. „იზოლაციონისტებს" მიაჩნდათ, რომ კონტინენტური პოლიტიკის გატარებით და ევროპიდან იზოლირებით უზრუნველყოფილი იქნებოდა მშვიდობა ამერიკისათვის, ხოლო „ინტერნაციონალისტების" პოლიტიკის მომხრენი კი თვლიდნენ, რომ ამერიკისათვის მშვიდობის უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნებოდა, თუ გაიზრდებოდა აშშ-ს როლი საერთაშორისო საკითხების გადაჭრაში და ამერიკა ევროპის სხვა დიდ სახელმწიფოებთან ერთად იბრძოლებდა ფაშისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. ისინი როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის მომხრენი იყვნენ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან, აგრესიული სახელმწიფოების ასალაგმავად.

პრეზიდენტი ფ. რუზველტი არ იყო იზოლაციონისტების მომხრე, მაგრამ ითვალისწინებდა რა მათ დიდ გავლენას კონგრესშიც და ქვეყანაშიც, თავდაპირველად ძალიან ფრთხილად ახორციელებდა თავის საგარეო პოლიტიკურ კურსს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-მ დაგმო გერმანიაში მიმდინარე გამალებული შეიარაღება და ჟენევაში მიმდინარე შეიარაღების შემცირების კონფერენციის ჩაშ-

ლაში მთავარ დამნაშავედ გერმანია გამოაცხადა. 1933 წლის 16 ნოემბერს ამერიკამ ცნო საბჭოთა კავშირი და მასთან დაამყარა დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობები. ეს გამოწვეული იყო იმდროინდელი საგარეო უწყების ხელმძღვანელთა მოსაზრებით, რომ საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა აგრესიული სახელმწიფოების შემაკავებელ ზღუდეს ორ კონტინენტზე-იაპონიის აგრესიის წინააღმდეგ აზიის კონტინენტზე და ჰიტლერული გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ევროპის კონტინენტზე. 1939 წლის მარტში რუზველტმა ლათინური ამერიკის ქვეყნებთან ურთიერთობაში გამოაცხადა „კეთილი მეზობლის“ პოლიტიკა.

საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში გავრცელებული იყო ბრალდება ამერიკისადმი იმის შესახებ, რომ თითქოს ის ხელს უწყობდა გერმანიაში ფაშიზმის დამკვიდრებას, რაც შეთხზული ბრალდება იყო. 22 სახელმწიფოდან, რომელთანაც აშშ-მ ახალი სავაჭრო ხელშეკრულება დადო, არც ერთი ფაშისტური სახელმწიფო არ იყო, პირიქით, 1935 წლის ოქტომბერში პრეზიდენტის განკარგულებით შეერთებულ შტატებში შემოტანილი საქონელი უნდა დაბეგრილიყო 1930 წლის სატარიფო აქტის ყველაზე მაღალი ბაჟებით.

ფ. რუზველტის მთავრობა, მიუხედავად იზოლაციონისტების გააფრთებული წინააღმდეგობისა, თანდათანობით რწმუნდებოდა, რომ ოკეანის გაღმა გაჩაღებული ფაშისტური აგრესია, ევროპაში წარიმართებოდა არა მარტო აღმოსავლეთ ევროპისაკენ, ხოლო იაპონიისა არა მარტო აღმოსავლეთ აზიისაკენ, არამედ საშიშროებას შეუქმნიდა ამერიკის კონტინენტსაც. 1937 წლის 5 ოქტომბერს ჩიკაგოში პრეზიდენტმა რუზველტმა თავის გამოსვლაში მოუწოდა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს გაერთიანებულიყვნენ და „კარანტინი“ დაემყარებინათ აგრესიული ქვეყნების ირგვლივ. ამრიგად, რუზველტი გამოვიდა საერთაშორისო კო-

ლექტიური მოქმედების მომხრედ ფაშისტური აგრესიული სახელმწიფოების მიმართ. ის აცხადებდა, რომ „იზოლაციის თუ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა არ არის გადარჩენის საშუალება" ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების აგრესიისაგან. ამიტომ მოუწოდებდა ის კოლექტიური მოქმედებისაკენ, რაც იზოლაციონისტებისაგან გააფრთებულ წინააღმდეგობას ხვდებოდა.

1937 წლის ოქტომბერში რუზველტი პოლკოვნიკ ედუარდ ჰაუსთან საუბარში აცხადებდა, რომ დრო იქნება საჭირო, რათა „ადამიანებს შევაგნებინოთ, რომ ომი ჩვენ გაცილებით დიდ საშიშროებას შეგვიქმნის, თუ ყველა ფანჯარასა და კარს დავხურავთ იმის ნაცვლად, რომ ქუჩაში გავიდეთ და ჩვენი ყველანაირი გავლენის გამოყენებით ჩავახშოთ შეთქმულება".[20]-ამ გადაკრული საუბრით მიანიშნა მან, რომ აშშ-ს მოუწევდა მონაწილეობის მიღება აგრესიის გავრცელების წინააღმდეგ.

ევროპაში კი ფაშისტები ახალ წარმატებებს აღწევდნენ. ესპანეთში, ფაშისტური გერმანიისა და იტალიის დახმარებით, დაემხო სახალხო ფრონტის კანონიერი მთავრობა და დამყარდა გენერალ ფრანკოს ფაშისტური დიქტატურა.

იმ დახმარების სანაცვლოდ, რაც ფრანკომ მიიღო ჰიტლერისა და მუსოლინისაგან, მოითხოვდნენ ესპანეთის მეშვეობით ფაშიზმის გავრცელებას სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში და მათ გამოყენებას აშშ-ს წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

1939 წლის 14 აპრილს ევროპაში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული ამერიკის პრეზიდენტი (ამ დროს უკვე

---

[20]Г. Киссинджер. Дипломатия. Глава пятнадцатая. Америка возвращается на международную арену: Франклин Делано Рузвельт. იხ. http://www.rulit.net/books/diplomatiya-read-283887-231.html

ჩეხოსლოვაკიაც მიტაცებულია!) მიმართავს ჰიტლერსა და მუსოლინს მიეცათ პირობა, რომ უახლესი ათი წლის განმავლობაში თავს არ დაესხმოდნენ 31 დამოუკიდებელ სახელმწიფოს.[21]

ჰიტლერმა რუზველტის ამ მიმართვას უპასუხა 22 აპრილს რაიხსტაგში გამოსვლისას, როცა განცხადება გააკეთა, რომ გერმანია ყველაზე მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა და არც არავის ემუქრება, რომ ჰიტლერი არ თხოვს პრეზიდენტს პირობას აშშ-ს თავდაუსხმელობაზე დასავლეთის ნახევარსფეროს მეზობელ ქვეყნებზე.

ჰიტლერის ამ განცხადების და სხვა ქმედებების შედეგად რუზველტი, მიუხედავად ამკრძალავი კანონებისა, ცდილობდა დახმარებოდა ინგლისს და საფრანგეთს. ამასთან ის თავის არაერთ გამოსვლაში ხაზს უსვამდა, რომ კანონი ნეიტრალიტეტის შესახებ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების სასარგებლოდ მოქმედებდა და თუ ღერძის სახელმწიფოები გაიმარჯვებდნენ, აშშ უბედურ ქვეყნად გადაიქცეოდა. შეერთებული შტატების მთავრობამ გააქტიურა სამხედრო ღონისძიებები ლათინური ამერიკისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებში. 1939 წელს დაიწყო 30 ახალი სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ბაზის მშენებლობა პანამის არხის ზონაში, პუერტო-რიკოში, კუბაში, სანტ-ტომასში, ჰავაის კუნძულებზე და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ვაშინგტონის 9 სახელმწიფოს კონფერენციის გადაწყვეტილებით სამხედრო ბაზებისა და სიმაგრეების მშენებლობა აკრძალული იყო, ამერიკამ გამოიყენა იაპონიის მიერ მისი დარღვევა და თვითონაც განთავისუფლდა ამ გადაწყვეტილების შესრულებისაგან.

---

[21] იქვე.

1939 წლის ივნისში ფ. რუზველტმა კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში შეიტანა კანონპროექტი „ნეიტრალიტეტის“ კანონის გაუქმების შესახებ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან მიღებულ იქნა რეზოლუცია ემბარგოს დატოვების შესახებ იარაღის გატანაზე მეომარ ქვეყნებში, განურჩევლად აგრესორი სახელმწიფოსი თუ აგრესიის მსხვერპლისა.

როცა მეორე მსოფლიო ომი დაიწყო, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა, რომ ნეიტრალურ ქვეყნად რჩებოდა, თუმცა იზოლაციონისტების ერთი ნაწილი თვლიდა, რომ ამერიკას დახმარება უნდა გაეწია ანტიფაშისტური ქვეყნებისათვის, მაგრამ საომარ ოპერაციებში არ უნდა ჩართულიყო, მეორე ნაწილი უწინდებურად მიიჩნევდა, რომ ამერიკა არ უნდა ჩარეულიყო ევროპის საქმეებში და თვით ევროპელებს გადაეწყვიტათ თავიანთი პრობლემები, ხოლო შორეულ აღმოსავლეთში კი ამერიკის აქტიური ჩარევის მომხრენი იყვნენ.

ამერიკა ომში ჩაბმამდეც უწევდა სამხედრო-ეკონომიკურ დახმარებას ინგლისს. 1940 წლის 2 სექტემბერს მათ შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლითაც აშშ-მ დასავლეთ ნახევარსფეროში ბრიტანეთის სამფლობელოების დაცვის ვალდებულება იკისრა, ინგლისი 99 წლის ვადით ამერიკას იჯარით აძლევდა ტერიტორიებს სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზების შესაქმნელად კუნძულებზე-ნიუფლაუნდლენდში, ბერმუდესში, იამაიკაში და ა. შ. ხელშეკრულებით ინგლისმა მიიღო 50 ნაღმოსანი, 20 სატრანსპორტო კატარღა. 150 თვითმფრინავი და 250 ათასი შაშხანა. ამ შეთანხმებით განმტკიცდა შეერთებული შტატების პოზიციები ინგლისის ხარჯზე.

ომის დაწყების შემდეგ აშშ-ს მთავრობა შუამავლად გამოვიდა მეომარ სახელმწიფოებს შორის ზავის დადებაზე,

მაგრამ წარუმატებლად. ინგლისისადმი დახმარება გაიზარდა, მაგრამ როცა ინგლისის ოქროს მარაგმა ვაშინგტონში გადაინაცვლა და ინგლისს ამოეწურა ნაღდ ანგარიშზე იარაღის შესყიდვის შესაძლებლობა, 1941 წლის მარტში ამერიკის კონგრესმა მიიღო კანონი ლენდ-ლიზის შესახებ.

აგრესიის შემდგომმა გაძლიერებამ და განსაკუთრებით პიორლ-ჰარბორის 1941 წლის 7 დეკემბრის ტრაგედიამ შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩააბა. ამ მომენტიდან სწრაფად გარდაიქმნა ამერიკის გიგანტური ეკონომიკური პოტენციალი. ომი ამერიკის ტერიტორიაზე არ მიმდინარეობდა და მას არ განუცდია სამეურნეო ნგრევა. ომის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ამერიკის მთავრობამ სამხედრო შეკვეთები 6-ჯერ გაზარდა და ამ მიზნით დახარჯა უზარმაზარი თანხა-100 მილიარდი დოლარი.

ფართო ღონისძიებები განხორციელდა ბირთვული იარაღის წარმოებისათვის. უკვე 1944 წლის ბოლოსათვის ორი ატომური ბომბი მზად იყო.

სამხედრო ხარჯები ომის დროს შეადგენდა 315 მილიარდ დოლარს, ხოლო სახელმწიფო ვალი კი 425 მილიარდ დოლარს. უზარმაზარი სახსრების მრეწველობაში დაბანდების შედეგად ამერიკის წარმოება გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ.

აშშ ომის ბოლოს ფაქტიურად მთელ მსოფლიოს ისეთნაირად მართავდა, როგორც მანამდე არ უმართია არც ერთ სახელმწიფოს. ბირთვული ტექნოლოგიის დარგში უდიდეს დაწინაურებაზე დაყრდნობით, ამერიკა ინარჩუნებდა უდიდეს უპირატესობას.

მეორე მსოფლიო ომში 1,5-ჯერ გაიზარდა ამერიკის ეკონომიკური პოტენციალი. სამრეწველო წარმოება თუ 1940 წელს შეადგენდა 101,4 მილიარდ დოლარს, 1945 წელს 215,2 მილიარდ დოლარამდე ავიდა.

ი. ბ. სტალინმა თეირანის კონფერენციაზე (1943), ჩერჩილის დაბადებიდან 69 წლისადმი მიძღვნილ სადღეგრძელოში აღნიშნა: ამერიკელების მიერ იარაღის წარმოების გარეშე „ომს წავაგებდითო". ომის დროს ამერიკის ეკონომიკა სასწაულებრივ ეფექტურობას ავლენდა. რუზველტმა, 1944 წლის ზაფხულში დიდი ბიზნესის პრესასთან შეხვედრისას, განაცხადა: როცა ჩვენ დავსახეთ წელიწადში 50 ათასი თვითმფრინავის წარმოება, ეს ფანტასტიკურად მიიჩნიეს. ახლა ჩვენ ვანარმოებთ 100 ათას თვითმფრინავს წელიწადში, კვლავ ვაგრძელებთ წარმოების ზრდას და ყოველგვარი რეკორდები მოვხსენით. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ 1942 წლიდან ამერიკელებმა აწარმოეს 300 ათასი თვითმფრინავი, 100 ათასი ტანკი, 372 ათასი არტილერიის ქვემეხი, 25 მილიონი სატვირთო მანქანა, 87 ათასი სამხედრო გემი, 20 მილიონი ავტომატი და შაშხანა.

ომის დროს ამერიკის მთავრობამ ააგო 2800 საწარმო, მათ შორის 534 საავიაციო, 116 დაზგათმშენებელი, 84 ალუმინის, 65 გემთმშენებლობის, 60 სინთეზური კაუჩუკის.

სახელმწიფოს მიერ ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების პოლიტიკა ჯერ კიდევ ფ. რუზველტის დროს დაიწყო ე.წ. „ახალი კურსის" გატარებისას, ხოლო ომის დროს იგი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროს შეეხო.

ამერიკის ეროვნული სიმდიდრე გაიზარდა 0,5 ტრილიონი დოლარიდან 1942 წელს, 12,5 ტრილიონ დოლარამდე 1982 წელს. მთლიანი ეროვნული პროდუქტი კი 211,9 მილიარდიდან 1945 წელს, 10,3 ტრილიონ დოლარამდე 2002 წელს.[22]

აშშ-ს მთავრობამ მეორე მსოფლიო ომში მთელი დანახარჯების 41% აანაზღაურა გადასახადების ხარჯზე, და-

[22] А. Уткин. Американская империя. იხ. www.bookreader.php\58961\Utkin_Amerikanskaya_imperiya.html\

ნარჩენი კი შეავსო ბონებისა და სესხების გამოშვებით. ამერიკას არ განუცდია ომის შემდგომი სერიოზული ეკონომიკური დაქვეითება.

ომის დროს ამერიკის პოზიციები გაძლიერდა მსოფლიო ბაზარზე. ომის შემდეგ კი დაეუფლა არა მარტო დამარცხებული ქვეყნების, არამედ მოკავშირეთა- ინგლისისა და საფრანგეთის ბაზრებსაც. ამან კი ბიძგი მისცა ამერიკის ეკონომიკის აღმავლობას. ომის შემდეგ შეერთებულ შტატებზე მოდიოდა კაპიტალისტური ქვეყნების წარმოებული ნავთობის-50%, ფოლადის-50%, ოქროს მარაგის-73%, მსოფლიო ვაჭრობის მესამედი. 1946 წლისათვის აშშ-ზე მოდიოდა კაპიტალისტური სამყაროს სამრეწველო პროდუქციის წარმოების 62%.[23]

ამერიკის ინციატივით 1945 წლის 25 აპრილს სან-ფრანცისკოში (კალიფორნიის შტატი), ყირიმის კონფერენციის გადაწყვეტილების შესაბამისად, მოიწვიეს საერთაშორისო კონფერენცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) წესდების შემუშავებისათვის. ვინაიდან ანტიჰიტლერულ სახელმწიფოებს შორის უკვე არსებობდა წინააღმდეგობანი, დიდ დავას იწვევდა გადაწყვეტილებების მიღების წესი, თუ როგორ უნდა მომხდარიყო მისი მიღების დროს ხმის მიცემა. გადაწყდა, რომ ხუთი დიდი სახელმწიფო: აშშ, საბჭოთა კავშირი, ინგლისი, საფრანგეთი და ჩინეთი იქნებოდნენ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრები და დაწესდა მათი ერთი ხმის პრინციპი და მუდმივი წევრების ვეტოს უფლება ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღების დროს. გაეროს გენერალურ ასამბლეაზე უშიშროების საბჭოში აირჩევდნენ კიდევ ექვს არამუდმივ წევრს პერიოდულად, რეგიონების მიხედვით, მაგრამ ვეტოს უფლება მხოლოდ ხუთი

[23]ნ. ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების..... გვ. 58

მუდმივი წევრის ხელში რჩებოდა. 1945 წლის 25 ივნისს გაეროს წესდება დამტკიცდა. 1945 წლის 26 ივნისს სან-ფრანცისკოში 51-მა სახელმწიფომ ხელი მოაწერა გაეროს ქარტიას. დასავლეთი იმედოვნებდა, რომ გაეროს მეშვეობით გადაწყვეტდა მსოფლიოს ყველა პრობლემას მოლაპარაკების მაგიდასთან. გაეროს უპირველესი ამოცანა საერთაშორისო მშვიდობის და უშიშროების უზრუნველყოფა გახდა.

ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პერიოდის ისტორია-ეს არის გრანდიოზული მიღწევების ისტორია მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ყველა დარგში.

შეერთებული შტატები დაადგა გზას, რომელმაც გერმანიისა და იაპონიის განადგურების შემდეგ, ასევე ბრიტანეთის და საფრანგეთის იმპერიების დასუსტებით და სსრ კავშირის თვითნგრევით, ის მიიყვანა ერთადერთ ზესახელმწიფომდე. ამერიკის მმართველმა წრეებმა საბოლოოდ გაწყვიტეს კავშირი „იზოლაციონიზმთან" და დაადგნენ მათგან ათასობით კილომეტრის დაშორებით ქვეყნებისა და რეგიონების სამხედრო და პოლიტიკური პრობლემების გადაწყვეტაში ფართო მონაწილეობის გზას.

სტალინგრადთან ფაშისტური გერმანიის სასტიკი მარცხის შემდეგ ანტიჰიტლერული სახელმწიფოების ლიდერებმა დაიწყეს ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის საკითხების განხილვა. ყველა მათგანი თავისი ტრადიციული ეროვნულ-ისტორიული გამოცდილების მიხედვით ფიქრობდა ამ პრობლემის გადაწყვეტას. ჩერჩილს სურდა აღედგინა ტრადიციული ძალთა თანაფარდობა ევროპაში, რაც იმას ნიშნავდა, რომ დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და თვით დამარცხებული გერმანიაც კი ისეთნაირად იმოქმედებდნენ, რომ შეერთებულ შტატებთან ერთად შეძლებდნენ სსრ კავშირთან დაპირისპირებას აღმოსავლეთში.

რუზველტს ომისშემდგომი სამყაროს მოწყობა წარმოდგენილი ჰქონდა შემდეგნაირად: სამ გამარჯვებულ სახელმწიფოს-აშშ-ს, სსრ კავშირს, დიდ ბრიტანეთს ჩინეთთან ერთად უნდა ემოქმედათ დირექტორების მსოფლიო საბჭოს სახით, ძალით უზრუნველეყოთ მშვიდობა და დაეცვათ ნებისმიერი პოტენციური აგრესიისაგან. როგორც რუზველტი თვლიდა, უპირველეს ყოვლისა, გერმანიისაგან. მისი ეს შეხედულება ცნობილია, როგორც „ოთხი პოლიციელის“ თეორია.

სტალინის მიდგომა ომისშემდგომი ევროპის მოწყობის საკითხზე აგებული იყო კომუნისტური იდეოლოგიის შენადნობზე და ტრადიციულ რუსულ აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე. იგი მიისწრაფოდა მიეღო ნაღდი საფასური გამარჯვებისათვის და მიეღწია საბჭოთა გავლენის დამყარებისათვის ცენტრალურ ევროპაზე, ასევე საბჭოთა ჯარების მიერ დაპყრობილი ქვეყნების გადაქცევისაკენ ბუფერულ ზონებად რუსეთის დასაცავად გერმანიის აგრესიისაგან მომავალში.

რუზველტი, ხაზგასმით აღნიშნავდა ჰ. კისინჯერი, უარყოფდა იმ შეხედულებას, თითქოს გერმანიის ტოტალური დამარცხების შემდეგ შეიქმნებოდა ვაკუუმი, რომლის შევსებას შეეცდებოდა გამარჯვებული საბჭოთა კავშირი. ის წინააღმდეგი იყო გაეთვალისწინებინა კონტრლონისძიებები გამარჯვებულებს შორის წარმოშობილი შესაძლო მეტოქეობის თვალსაზრისით. ამერიკის პრეზიდენტის აზრით, მშვიდობა უნდა შეენარჩუნებინა გამარჯვებული სახელმწიფოების ერთობლივ მოქმედებას.

რადგანაც განზრახული იყო არა ძალთა თანაფარდობის სისტემის, არამედ საყოველთაო მშვიდობის სისტემის შექმნა, რუზველტმა გადაწყვიტა, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ ამერიკას თავისი ჯარები გამოეწვია სამშობლო-

ში. მას არავითარი სურვილი არ ჰქონდა თავისი ჯარები ევროპაში დაეტოვებინა სსრ კავშირის ჯარების საპირისპირო ძალად. ამას, მისი აზრით, ამერიკული საზოგადოება არასოდეს მიიღებდა. 1944 წლის 29 თებერვალს, სანამ ამერიკის ჯარებს გადასხამდნენ საფრანგეთში, რუზველტი ჩერჩილს სწერდა: „არ მთხოვოთ ამერიკული ჯარების დატოვება საფრანგეთში. მე უბრალოდ არ შემიძლია ამის გაკეთება. მე უნდა დავაბრუნო ისინი სამშობლოში. როგორც აქამდე ვამბობდი, უარს ვამბობთ ვიზრუნოთ ბელგიაზე, საფრანგეთზე და იტალიაზე, ეს თქვენი ვალია".[24] სხვა სიტყვებით, ინგლისს უნდა დაეცვა ევროპა ამერიკის დაუხმარებლად.

ამასთანავე რუზველტი გადაჭრით მოითხოვდა ბოლო მოღებოდა ინგლისისა და საფრანგეთის კოლონიალურ იმპერიებს. „როცა ჩვენ ომს მოვიგებთ,- აცხადებდა რუზველტი, მე მთელ ჩემს ძალას მოვახმარ იმას, რომ შეერთებულმა შტატებმა მეტი არავითარი გეგმა არ მიიღოს, რომელიც წაახალისებს საფრანგეთის იმპერიალისტურ ამბიციებს ან გეგმას, რომელიც სიტყვით და საქმით დაეხმარება ბრიტანეთის იმპერიას მის იმპერიალისტურ ამბიციებში".[25]

რუზველტის გეგმა, რომელსაც უნდა უზრუნველეყო გლობალური ზავი, წარმოადგენდა კომპრომისს ჩერჩილისეულ ტრადიციულ მიდგომისას ძალთა თანაფარდობის შესახებ და ვილსონისეულ კოლექტიური უშიშროების და დაცვის სისტემას შორის. კოლექტიური დაცვა კი უნდა დაკისრებოდა „ოთხ პოლიციელ" სახელმწიფოს.

---

[24]Churchill & Roosevelt. The Complete Correspondence, 3 vols.,ed. By Warren F.Kimball. T.11, Princeton: Princeton Univ. Press, 1984, გვ. 767

[25]Elliot Roosevelt. As He Saw it. N.Y.: Duell, Sloan and Pearce. 1946, გვ. 115-116

ამრიგად, რუზველტის აზრით, ომის შემდეგ მშვიდობა უნდა შენარჩუნებულიყო გამარჯვებული კოალიციური სახელმწიფოების მიერ.[26]

მაგრამ რუზველტის კონცეფციას განხორციელება არ ეწერა, ვინაიდან გამარჯვებულ სახელმწიფოებს შორის არსებობდა გადაულახავი იდეოლოგიური უფსკრული. საბჭოთა კავშირი, როგორც კი განთავისუფლდებოდა გერმანიის საშიშროებისაგან, შეეცდებოდა განეხორციელებინა საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ინტერესები თვით თავის ყოფილ მოკავშირეებთან კონფრონტაციის გზითაც კი.

რუზველტმა ვერ გაითვალისწინა ის, თუ რა მოხდებოდა, რომ ერთ-ერთ პოლიციელ სახელმწიფოს, მაგალითად, საბჭოთა კავშირს არ მოესურვებინა პოლიციელი სახელმწიფოს როლის შესრულება და ეს იმიტომ მოხდა, რომ მაშინ მოუწევდა მისთვის მიუღებელი ძალთა თანაფარდობის პრინციპის დამკვიდრების ხელშეწყობა.

სულ სხვანაირად ფიქრობდა სტალინი. მას მიაჩნდა, რომ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების განადგურების შემდეგ საერთაშორისო არენაზე, კერძოდ კი ევროპის ძალთა თანაფარდობაში, მოხდებოდა ცვლილებები სსრ კავშირის სასარგებლოდ. ამიტომ სტალინს მიაჩნდა, რომ ომის შემდეგ აშშ დატოვებდა ევროპას და შეიქმნებოდა პირობები სოციალიზმის გავრცელებისათვის მთელი ევროპის კონტინენტზე.

პოტსდამის კონფერენციაზე სტალინს ერთ-ერთმა ამერიკელმა გენერალმა უთხრა: „რა კარგია, რომ რუსი ჯარის-

---

[26]Г. Киссинджер. Дипломатия. Глава шестнадцатая. Три подхода к миру: Рузвельт, Сталин и Черчилль во время второй мировой войны. ob.http://www.rulit.net/books/diplomatiya-read-283887-231.html

კაცები ბერლინში არიან". ეს ფაქტიურად ნიშნავდა, ამას რას მოესწარითო, რასაც სტალინმა მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა: „მეფე ალექსანდრე 1 პარიზამდე მივიდა".[27]

სტალინი მშვიდობის უზრუნველყოფას ზუსტად ისე უდგებოდა, როგორც ამას ახორციელებდნენ რუსი სახელმწიფო მოღვაწეები საუკუნეების განმავლობაში - უშიშროების ფართო სარტყელის შექმნით რუსეთის უზარმაზარი ტერიტორიის გასწვრივ. სტალინი მხარს უჭერდა რუზველტის მკაცრ მოთხოვნას ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოების უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ, ვინაიდან ამით პრეზიდენტი თავიდან იშორებდა ამ სახელმწიფოებს, როგორც მშვიდობიანი დარეგულირების ხელშემშლელ ფაქტორებს. ამასთანავე, სტალინი, როგორც კომუნისტი, ფაქტიურად უარს ამბობდა ეცნო განსხვავება ფაშისტურ და დემოკრატიულ ქვეყნებს შორის. ყველას მათ ბურჟუაზიულს უწოდებდა და მათში წყობილების შეცვლას ესწრაფვოდა.

მეორე მსოფლიო ომში ანტიჰიტლერული კოალიციის სახელმწიფოებს აერთიანებდათ ერთი მთავარი მიზანი-გაენადგურებინათ ფაშისტური ბლოკის სახელმწიფოები, მოეხდინათ ნაციზმის, როგორც ყოველგვარი უბედურების მიზეზის, ლიკვიდაცია, გაენთავისუფლებინათ ფაშისტური უღლის ქვეშ მყოფი ხალხები და შეექმნათ პირობები მათი დემოკრატიული გზით განვითარებისათვის.

სტალინის მეთაურობით საბჭოთა მთავრობა სხვაგვარად ფიქრობდა, რაც ნათლად გამოხატა 1945 წელს შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჯეიმს ბირნსმა ედვარდ რ. სტეტინიუსთან საუბარში: „ჩვენს წინაშე აღმოჩნდა ახალი რუსეთი, მთლიანად განსხვავდება იმ რუსეთისაგან, რომელსაც ჩვენ ვხედავდით ერთი წლის წინ, ვიდრე რუსეთს ომის მსვლელობაში ჩვენ ვჭირდებოდით, ჩვენ მას ვამარა-

[27] იქვე.

გებდით, ჩვენს შორის იყო დადებითი ურთიერთობა, მაგრამ ახლა, როდესაც ომი დასრულდა, ის მიმართავს აგრესიულ ტაქტიკას და უაპელაციოდ წყვეტს პოლიტიკურ-ტერიტორიულ საკითხებს".[28]

ომის მსვლელობაში, როდესაც მოკავშირეები თანდათან ავიწროებდნენ ფაშისტურ ბლოკს, ასევე თანდათანობით იზრდებოდა კრემლის ტერიტორიული პრეტენზიებიც. 1945 წელს სტალინის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა ომამდელი კონტროლის დამყარება იმ ტერიტორიებზე, სადაც საბჭოთა ჯარები იდგნენ. ამის დამადასტურებელია მისი საუბარი იუგოსლავიის კომუნისტების ერთ-ერთ ლიდერ მილოვან ჯილასთან: „ახლა ომი ისეთი არაა, როგორც წარსულში. ის, ვინც იკავებს ტერიტორიას, შეაქვს იქ თავისი სოციალური სისტემა. თითოეულს შეაქვს თავისი სისტემა ყველგან, სადაც შეუძლია მივიდეს მისი ჯარი. სხვანაირად, არც შეიძლება იყოს".[29]

არც შეერთებულ შტატებს და არც დასავლეთის ქვეყნებს არ შეეძლოთ ზემოქმედება მოეხდინათ საბჭოთა კავშირზე. ერთადერთი, რაც მათ შეეძლოთ, იყო ის, რომ უარი ეთქვათ საბჭოთა მხარის მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში დაყენებული მთავრობების ცნობაზე, ისიც გარკვეული დროის განმავლობაში.

სტალინმა შესძლო აღმოსავლეთ ევროპისათვის თავს მოეხვია თავისი საზღვრები ისე, რომ სარისკო ნაბიჯებისათვის თავი აერიდებინა, რადგან მის ჯარს უკვე დაკავებული ჰქონდა ეს ტერიტორიები. როცა საქმე მიდგა ამ ქვეყნებში საბჭოთა ტიპის რეჟიმების დამყარებაზე, ის ფრთხილობდა.

---

[28] John Lewis Gaddis. The United States and the Origins of the Cold War. N.Y.: Colambia Univ. Press, 1972, გვ. 266

[29] Г. Киссинджер. Дипломатия. Глава шестнадцатая. Три подхода к миру: Рузвельт, Сталин и Черчилль во время второй мировой войны. იხ. http://www.rulit.net/books/diplomatiya-read-283887-231.html

პირველ ორ წელს მხოლოდ იუგოსლავიასა და ალბანეთში დაამყარა კომუნისტური დიქტატურა, დანარჩენ ხუთ ქვეყანაში, რომლებიც მოგვიანებით გახდნენ საბჭოთა სატელიტები- ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, პოლონეთი და რუმინეთი, კოალიციური მთავრობები შექმნა კომუნისტების უპირატესობით. მათ შორის ორ ქვეყანაში-ჩეხოსლოვაკიასა და უნგრეთში ჩატარდა ომის შემდეგ პირველ წელსვე არჩევნები და იქ მრავალპარტიული სისტემა დამყარდა. ყველაფერი ეს დროებითი იყო, რადგან მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, საბჭოთა კავშირი ექსპანსიურ პოლიტიკას ახორციელებდა ევროპის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში.

1945 წლიდან მოყოლებული, კრემლმა, სამხედრო ინტერვენციისა და გადატრიალებების ინსპირირებით, მსოფლიოს 30-ზე მეტ სახელმწიფოში მარიონეტული რეჟიმები შექმნა, 10 ქვეყანაში კი პროკომუნისტურ პარტიზანულ მოძრაობებს იარაღით ამარაგებდა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა გეოპოლიტიკური ვაკუუმი. ძალთა წონასწორობა დაირღვა. ყოვლისმომცველი სამშვიდობო ხელშეკრულება ვერ დაიდო- მსოფლიოს მოწყობის ამერიკული მოდელი ვერ განხორციელდა. ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობის ორპოლუსიანი სტრუქტურა. დაიწყო „ცივი ომი“ სსრ კავშირსა და აშშ-ს შორის, როგორც ორი ზესახელმწიფოს იდეოლოგიური ბრძოლა და გეოპოლიტიკური დაპირისპირება.

§3. „ცივი ომი“ და აშშ-ს, როგორც თანამედროვე ზესახელმწიფოს, პერსპექტივები

ტერმინი „ცივი ომი“ გამოხატავს სახელმწიფოებს და სახელმწიფოთა ჯგუფებს შორის სამხედრო-პოლიტიკურ კონფრონტაციას გამალებული შეიარაღების, ზეწოლის ეკონომიკური ღონისძიებების (ემბარგო, ეკონომიკური ბლოკადა და ა.შ.) გამოყენების, სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმებისა და ბაზების შექმნის საფუძველზე.

ყოფილ მოკავშირეებს შორის განხეთქილების და „ცივი ომის“ ფაქტიური დაწყების შესახებ ღიად განაცხადა ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უ. ჩერჩილმა თავის საპროგრამო გამოსვლაში 1946 წლის 5 მარტს ფულტონში (მისურის შტატი, აშშ) ამერიკის პრეზიდენტის ჰ. ტრუმენის თანდასწრებით. „შჩეცინიდან ბალტიის ზღვაში ტრიესტამდე ადრიატიკაში,“-განაცხადა უ. ჩერჩილმა,- კონტინენტზე რკინის ფარდა ჩამოეშვა“. მან საბჭოთა კავშირი დაადანაშაულა მსოფლიო ექსპანსიის განხორციელებაში, „თავისუფალი მსოფლიოს“, ე.ი პლანეტის იმ ნაწილში შეღწევაში, რომელიც აქამდე კონტროლდებოდა დემოკრატიული ქვეყნების მიერ. მან განაცხადა, რომ ბრიტანეთმა და შეერთებულმა შტატებმა უნდა ითანამშრომლონ საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ.

„ცივი ომისათვის“ დამახასიათებელი იყო: მწვავე პოლიტიკური და იდეოლოგიური დაპირისპირება კომუნისტურ და დასავლეთის ლიბერალურ სისტემებს შორის, რომელმაც ფაქტიურად მთელი მსოფლიო მოიცვა; სამხედრო ბლოკების-ნატო (1949), ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია (1955), სეატო (1954), სენტო (1955), ანზიუსი (1951) შექმნა; გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო ხარჯების მკვეთრი ზრდა; პერიოდულად წარმოშობილი საერთაშორისო კრი-

ზისები, ე.წ „ცხელი წერტილები“ (ბერლინის, კორეის, კარიბის, ვიეტნამის, ავღანეთის კრიზისები); მსოფლიოს დაყოფა „გავლენის სფეროებად“ საბჭოთა და დასავლეთის ბლოკებს შორის, რომლებიც ამა თუ იმ რეჟიმის მხარდასაჭერად ინტერვენციასაც არ თაკილობდნენ (უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, გრენადა და ა.შ.); სამხედრო ბაზების გაფართოებული ქსელის შექმნა უცხო სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოება, რომლის მიზანი იყო საკუთარი იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის პროპაგანდა, მოწინააღმდეგე ბლოკის ქვეყნების მოსახლეობის თვალში ოფიციალური იდეოლოგიისა და ცხოვრების წესის დისკრედიტაცია.

ამ მიზანს ემსახურებოდა იდეოლოგიურად მოწინააღმდეგე ქვეყნების ტერიტორიაზე რადიოსადგურების გახსნა, იდეოლოგიური მიმართულების ლიტერატურისა და პერიოდული პრესის უცხო ენებზე გამოცემის დაფინანსება, კლასობრივი, რასობრივი, ეროვნული წინააღმდეგობების გამწვავებისათვის ხელშეწყობა. სხვადასხვა მიზეზით კონტაქტების გაწყვეტა განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოებთან.[30]

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირი და შეერთებული შტატები ერთიან კოალიციაში გამოდიოდნენ, მაგრამ ომის დასრულების შემდეგ მათ წამოაყენეს ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობის განსხვავებული გეგმები, რაც კონფრონტაციის მიზეზი გახდა. გამარჯვებული ქვეყნების ერთიანობის შენარჩუნება მტკიცე მაინც ვერ იქნებოდა, სსრ კავშირი, ერთის მხრივ და აშშ, ინგლისი და საფრანგეთი მეორეს მხრივ, სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ. საბჭოთა კავშირმა

[30] დ. პერტაია. ცივი ომი. „თეიმურაზ მიბჩუანი-70.„ გამომც.„ მერიდიანი„, თბ., 2008-2010, გვ. 396-397.

უდიდესი როლი შეასრულა ფაშიზმის განადგურებაში და ბუნებრივია, ის შეეცადა გავლენის სფეროს გაფართოებას, კომუნისტური რეჟიმის დამყარებას ფაშიზმის და კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში.

მეორე მსოფლიო ომიდან მოკავშირეები იმდენად ძლიერები გამოვიდნენ, ხოლო ომის წარმოების საშუალებები იმდენად დამანგრეველი იყო, რომ ძველი მეთოდებით ურთიერთობების გარკვევა უკვე საშიში ხდებოდა. აშშ ერთადერთი ქვეყანა იყო მსოფლიოში, რომელიც 1945 წელს დაეუფლა ატომურ იარაღს, რაც მას პრიორიტეტს ანიჭებდა. ბუნებრივია, მან მიზნად დაისახა გამხდარიყო მსოფლიო ლიდერი და ამისათვის აემოქმედებინა „ატომური დიპლომატიის" არსენალი.

ცნობილი საგაზეთო მაგნატი გ. ლიუსი დარწმუნებით ამტკიცებდა, რომ ომის დამთავრება ისე გაზრდიდა აშშ-ს გავლენას, რომ დადგებოდა Pax Americana, ე.ი ამერიკის საუკუნე, სიტყვასიტყვით „ამერიკული მშვიდობა". Pax Americana გახდა XX ს-ის მეორე ნახევარში ამერიკის პოლიტიკის სიმბოლო საერთაშორისო არენაზე.

თუმცა მთელი თავისი სამხედრო და პოლიტიკური ძლიერებით შეერთებული შტატები ვერ გახდა და ვერც გახდებოდა ომისშემდგომი მსოფლიოს ერთადერთი ლიდერი. ის იძულებული იყო ეცნო მეორე ზესახელმწიფოს-საბჭოთა კავშირის არსებობა, რომელიც გადაჭრით იბრძოდა თავისი გავლენის სფეროში რომელიმე უცხო სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგ.

ამდენად, Pax Americana ითვალისწინებდა Pax Sovieticas, ე.ი საბჭოთა საუკუნის რეალობასაც.

ომისშემდგომ დანგრეულ და გაპარტახებულ ევროპაში ხელსაყრელი ვითარება იქმნებოდა კომუნისტური იდეების გავრცელებისათვის, რასაც თავის მხრივ განაპირობებდა

საბჭოთა კავშირის უდიდესი წვლილი ფაშისტური უღლისაგან მათ განთავისუფლებაში. ისეთ ქვეყნებშიც კი, როგორც საფრანგეთი და იტალია იყო, მოსახლეობის 1|3 მხარს უჭერდა კომუნისტებს.

საბჭოთა კავშირი ომიდან გამოვიდა როგორც უძლიერესი სამხედრო-პოლიტიკური სახელმწიფო, რომელიც, როგორც აშშ, პრეტენზიას აცხადებდა ზესახელმწიფოს სტატუსზე. ითამაშა რა უდიდესი როლი ფაშისტური გერმანიის განადგურებაში, სსრ კავშირმა გააძლიერა თავისი გავლენა მსოფლიოში. ომისშემდგომ აღმოსავლეთ ევროპის (ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ალბანეთი და იუგოსლავია) და აზიის (ჩინეთი, ვიეტნამი, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა და სხვ.) ქვეყნების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის უშუალო გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ამასთან შეიქმნა წანამძღვრები მსოფლიო სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომელთაც 60-იანი წლების დასაწყისში კუბაც შეუერთდა, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები გადაჭრით უჭერდნენ მხარს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ყოველივე ამის შედეგად ძალზე გაიზარდა მათი როლი და გავლენა მესამე სამყაროს ქვეყნებში, შეიქმნა ე.წ სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნების ჯგუფიც.

ამიტომ სსრ კავშირის მისწრაფებათა შეკავება იქცა ამერიკული საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზნად ომისშემდგომ წლებში, რომლის ავტორი იყო ამერიკის საელჩოს მრჩეველი მოსკოვში ჯორჯ კენანი. იგი ამტკიცებდა, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა შეწყვიტოს საკუთარი თავის დადანაშაულება საბჭოთა უკომპრომისო პოლიტიკის გამო, ვინაიდან საბჭოთა საგარეო პოლიტიკის სათავე არის თვით საბჭოთა სისტემაში. არსებითად, კენანის აზრით, საბჭოთა

საგარეო პოლიტიკა წარმოადგენდა კომუნისტური იდეოლოგიისა და ცარიზმის დროინდელი ექსპანსიონიზმის შენარევს. კენანის აზრით, სტალინის მიდგომა მშვიდობისადმი სუფთა იდეოლოგიური ხასიათისაა. სტალინი დასავლეთის ქვეყნებს განიხილავდა კომუნიზმისადმი მტრულად განწყობილს. ამის გამო უთანხმოება საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის რალაც გაუგებრობით ან არასწორი კონტაქტებით კი არ არის გამოწვეული, არამედ ორგანული შედეგია საბჭოთა კავშირის მიერ გარე სამყაროს აღქმისა. კომუნისტური იდეოლოგია, კენანის მტკიცებით, დიქტატორს სიმკაცრის, მსხვერპლის გარეშე ვერ წარმოუდგენია. მარქსიზმის გამო, თავისი ტაქტიკის და მეთოდის გამოყენებით უგულვებელყოფს ყოველგვარ ეთიკურ ნორმებს. ამიტომ, მოსკოვის მისწრაფება, თავისი ძალაუფლება გაევრცელებინა, უნდა შეჩერებულიყო „რუსეთის ექსპანსიური ტენდენციების მტკიცე და ფხიზელი შეკავებით".[31]

ჯ. კენანის აზრით, „შეკავების" პოლიტიკა, მოწოდებულია დაუპირისპირდეს რუსეთს. სისტემატურად უნდა ვაჩვენოთ კონტრძალა ყოველ წერტილში, სადაც კი გამოვლინდება მშვიდობიანი სტაბილური მსოფლიოს ინტერესების ხელყოფა".[32]

„შეკავების" დოქტრინის პირველ მნიშვნელოვან გამოყენებას ადგილი ჰქონდა აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში. ომის დამთავრებისთანავე საბჭოთა კავშირი აკონტროლებდა ბალკანეთის ქვეყნებს, გარდა იუგოსლავიისა და საბერძნეთისა. საბერძნეთში ბულგარეთისა და იუგოსლავიის ტერიტორიიდან საბჭოთა მხარდაჭერით გაიშალა პარტიზანუ-

---

[31]ამერიკის ისტორიის ესკიზები. შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო. გვ. 284.

[32]Майкл Джей Фридман. Холодная война: испытание американской мощи и проверка идеалов. იხ. www.usinfo.stat.gov\journals\ijpr\Frijdman.htm

ლი ომი. 1946 წლის ზაფხულში კი საბჭოთა მხარემ წაუყენა მკაცრი მოთხოვნები თურქეთს XIV-XV საუკუნეებში საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიების უკან დაბრუნების შესახებ და მოითხოვა აგრეთვე ბოსფორში სამხედრო-საზღვაო ბაზების აშენების უფლება. პარალელურად დაიწყო ამიერკავკასიაში თავისი ჯარების გადასროლა, ხოლო ახალციხიდან და ახალქალაქიდან თურქულენოვანი მოსახლეობის გასახლება შუა აზიასა და ყაზახეთში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა თურქეთის მიერ საქართველოსაგან მიტაცებული ტერიტორიების უკან დაბრუნების შესახებ, იყო სამართლიანი.

ინგლისი მხარს უჭერდა საბერძნეთს და თურქეთს, მაგრამ 1947 წლის თებერვალში მან შეერთებული შტატების მთავრობას აცნობა, რომ არ შეეძლო გაეწია სამხედრო და ეკონომიკური დახმარება ამ ქვეყნებისათვის, რაც ხელს შეუწყობდა აქ საბჭოთა კონტროლის დამყარებას. ამერიკის მთავრობა მზად იყო ასეთი დახმარების გაწევისა და კომუნისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაბმისათვის, მითუმეტეს, როცა შესაძლებელი იყო კომუნისტების მოსვლა იტალიის ხელისუფლებაშიც. ასევე შეიქმნა საშიშროება სუეცის არხზე საბჭოთა კონტროლის დამყარებისა.

ჯ. კენანის იდეებს ემყარებოდა ამერიკის პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის (1945-1953) 1945 წლის 12 მარტის მიმართვა კონგრესისადმი („ტრუმენის დოქტრინა“), რომლითაც თანხმობას სთხოვდა 400 მილიონი დოლარის გამოყოფისა საბერძნეთისა და თურქეთის დასახმარებლად კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. დახმარების გაწევის ეს პროგრამა წარმოდგენილი იქნა, როგორც დემოკრატიასა და დიქტატურას შორის გლობალური შეჯახების ნაწილი.

საბჭოთა კავშირმა შეერთებულ შტატებთან და დასავლეთთან ომის საშიშროების გამო, ხელი აიღო თურქეთის მი-

ერ ადრე მიტაცებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებაზე. ზესახელმწიფოთა ორ იდეოლოგიას შორის ჭიდილში პატარა საქართველოს ისტორიული სამართლიანობის აღდგენის შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული.

1947 წლის 5 ივნისს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჯ. მარშალმა ჰარვარდის უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მინიჭების დროს წარმოთქმულ სიტყვაში წამოაყენა ახალი დოქტრინა, რომელიც ცნობილია, როგორც „მარშალის გეგმა". ძირითადი ამ ახალ საგარეო - პოლიტიკურ კურსში იყო ომით დანგრეული ევროპის ეკონომიკური აღორძინების პროგრამა. ეს გამოწვეული იყო ომის შემდგომ ევროპაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობით, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კომუნისტური იდეოლოგიის წარმატებებისათვის. საბჭოთა კავშირმა ეს გეგმა შეაფასა, როგორც ამერიკის მიერ ევროპის დაკაბალება. მისი ზეწოლით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა უარი თქვეს მასში მონაწილეობაზე. გეგმას ხელი მოაწერა 16 -მა ევროპის სახელმწიფომ. მისი განხორციელება დაიწყო 1948 წლის აპრილიდან, როცა აშშ-ს კონგრესმა მიიღო „ეკონომიკური თანამშრომლობის კანონი", რომელიც ითვალისწინებდა ევროპისადმი ეკონომიკური დახმარების 4 წლიან პროგრამას. ამისათვის გამოყოფილ იქნა 17 მილიარდი დოლარი. აშშ-მ დახმარების მიღების წინაპირობად ამ ქვეყნებისაგან მოითხოვა მთავრობის შემადგენლობიდან კომუნისტების გამოყვანა. 1948 წლისათვის დასავლეთ ევროპის ქვეყნების არც ერთ მთავრობაში არ იყვნენ კომუნისტები.[33]

„მარშალის გეგმის" საპასუხოდ სსრ კავშირმა შეიმუშავა ანალოგიური ეკონომიკური პროგრამა სოციალისტური ქვეყნებისათვის. ეს იყო 1949 წელს შექმნილი ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო.

---

[33]А. А. Кредер. Новейшая история, XX век. М.1996, გვ. 165.

1948 წლის 12 ივნისს, გამოვიდა რა ორმოცდათხუთმეტ ათასიანი მსმენელის წინაშე ბერკლში უნივერსიტეტის მოედანზე, ამერიკის პრეზიდენტმა ჰ. ტრუმენმა შეერთებული შტატებსა და სსრ კავშირს შორის ურთიერთობა შემდეგნაირად წამოაჩინა:

„მსოფლიოს უდიდეს პრობლემებს ზოგჯერ გამოხატავენ როგორც დავას უშუალოდ შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. ეს ასე არაა... ჩვენ არ ვანარმოებთ „ცივ ომს“... დაპირისპირება საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის არაა. დაპირისპირება საბჭოთა კავშირსა და დანარჩენ მსოფლიოს შორისაა“.[34]

„ცივი ომისათვის“ დამახასიათებელი იყო გამალებული შეიარაღება, რომლის დაწყება დაკავშირებულია ატომური იარაღის წარმოებასთან. აშშ-ს უპირატესობას, რაც გამოიხატებოდა ატომური იარაღის ფლობაში, ბოლო მოელო, როცა 1949 წელს სსრ კავშირმა გამოსცადა პირველი ატომური ბომბი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებაში ატომური იარაღი მხოლოდ 1953 წელს გაჩნდა, სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირება ახალ ფაზაში გადავიდა. მან სარაკეტო-ბირთვული გამალებული შეიარაღების ფორმა მიიღო. მართალია, ორივე მხარე სისტემატურად სრულყოფდა ბირთვულ იარაღს, მაგრამ ისინი იმასაც აცნობიერებდნენ, რომ მისი გამოყენება კატასტროფა იქნებოდა მთელი მსოფლიოსათვის.

დაპირისპირებულმა მხარეებმა შექმნეს კოლექტიური უსაფრთხოების სისტემები სამხედრო ბლოკების სახით. 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა ჩრდილო-ატლანტიკური ორგანიზაცია-ნატო, ხოლო 1955 წლის 14 მაისს-ვარშავის ხელშეკრულების კავშირი. მსოფლიოს პოლარიზაცია დასრულდა და

---

[34] А.И.Уткин. Единственная сверхдержава. М., 2004. იხ. http://www.rulit.net/books/edinstvennaya-sverhderzhava-read-193500-1.html

კოალიციების ლიდერებმა ახალი ძალით დაიწყეს ბრძოლა მსოფლიოს გავლენის სფეროებად განაწილებისათვის.

ჩვენი კვლევის მიზანია ვაჩვენოთ, თუ რა გზა გაიარა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თანამედროვე ზესახელმწიფომდე. ამიტომაც თავს ვარიდებთ ცალკეული ომების თუ კონფლიქტების განხილვას და შემოვიფარგლებით მოკლე მიმოხილვით.

„ცივი ომისათვის" დამახასიათებელი იყო „ცხელი წერტილების" წარმოშობა. თითოეული ლოკალური კონფლიქტი მსოფლიო მნიშვნელობის ხდებოდა, რადგან თითოეული ზესახელმწიფო ცდილობდა ის თავისი ინტერესებისათვის და უპირატესობის დასამტკიცებლად გამოეყენებინა. დაპირისპირების პირველი გამოვლინება იყო გერმანიის საკითხი.

გერმანია ომის შემდეგ დაიყო ოთხ საოკუპაციო -საბჭოთა, ამერიკულ, ბრიტანულ და ფრანგულ- ზონად, რომლებსაც განაგებდნენ მოკავშირეთა საოკუპაციო ჯარების მთავარსარდლები. 1946 წლის შუა ხანებიდან უკვე დაიწყო ბრძოლა გერმანიის მომავალი მოწყობის გამო. ამ პერიოდისათვის ამერიკული და ბრიტანული ზონები გაერთიანებულ იქნა და მას „ბიზონია" ეწოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის უკვე არავის არ უნდოდა გერმანიის ორ ან მეტ ნაწილად დაშლა, უბრალოდ მხარეები (აშშ და სსრ კავშირი) ცდილობდნენ, რომ ერთიანი გერმანია მოქცეულიყო მათი გავლენის სფეროში. 1948 წელს ბიზონიას შეუერთდა ფრანგული ზონაც, რის შემდეგაც ამ ტერიტორიას „ტრიზონია" უწოდეს.

პრობლემის განსაკუთრებული გამწვავება მოხდა სწორედ 1948 წელს, როდესაც დადგა გერმანიაში ფინანსური გაჯანსაღების ამოცანა, თუმცა ფულადი რეფორმის საკითხი ამ შემთხვევაში პრელუდია იყო გერმანიის ორ ნაწილად-გდრ და გფრ დაყოფისა 1949 წელს.

ბერლინის კრიზისმა დააჩქარა ამერიკის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების გადასინჯვა. აშშ დათანხმდა აქტიური მონაწილეობა მიეღო დასავლეთ ევროპის დაცვაში, თუმცა ჯერ კიდევ თავს იკავებდა დიდი სამხედრო კონტინგენტის შეყვანაზე და თავისი შეიარაღებული ძალების ფართომასშტაბიან შეიარაღებაზე, რაც მისცემდა მას შესაძლებლობას, შეესრულებინა თავისი ვალდებულებები მსოფლიოს წინაშე.

ბერლინის კრიზისმა საბჭოთა მთავრობისათვის ცხადყო დასავლეთის სახელმწიფოების მტკიცე გადაწყვეტილება, რომ შეეჩერებინათ საბჭოთა აგრესია და არ დაეხიათ საბჭოთა შეტევების წინაშე. ეს იყო პირველი კრიზისი, რომელმაც კინაღამ „ცივი ომი" „ცხელ ომად" გადააქცია. მაგრამ საბედნიეროდ ეს არ მოხდა ორივე მხარის თავშეკავების წყალობით. ბერლინი გახდა პირველი მაგალითი კონფრონტაციისა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რამაც ახალი შეზღუდვები დაუწესა ომისშემდგომ დიპლომატიას: მხარეები იარაღის ჟღარუნით მივიდნენ საშიშ ზღვრამდე, მაგრამ დროულად შეჩერდნენ.

XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს მსოფლიოში შექმნილი მძიმე სიტუაცია სულაც არ გამორიცხავდა იმას, რომ დაწყებულიყო ომი შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირს შორის, მაგრამ 1949 წელს საბჭოთა კავშირის მიერ ბირთვული იარაღის მიღებამ პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა ამ ქვეყნებს შორის უშუალო სამხედრო კონფლიქტი, სამაგიეროდ მათ მალე მოახერხეს ლოკალური კონფლიქტების მოწყობა კორეაში.

1945 წელს კორეა იაპონიისაგან მოკავშირეებმა-საბჭოთა და ამერიკულმა ჯარებმა გაანთავისუფლეს, მაგრამ სამხრეთში 38-ე პარალელზე განლაგდა ამერიკული ჯარები, ჩრდილოეთში- წითელი არმია.

1948 წლის დეკემბერში საბჭოთა ჯარებმა დატოვეს ჩრდილოეთ კორეა. აქ მხოლოდ სამხედრო მრჩევლები დარჩნენ, რომელთა მეშვეობით ჩრდილოეთ კორეაში შეიქმნა კარგად გაწვრთნილი და საბჭოთა იარაღით აღჭურვილი არმია, რომლის მეშვეობით მოსკოვი ვარაუდობდა თავისი ძალაუფლების გავრცელებას კორეის მთელ ტერიტორიაზე.

შეერთებული შტატების მთავრობა თვლიდა, რომ ორივე კორეის გაერთიანება უნდა მომხდარიყო საყოველთაო არჩევნების ჩატარების გზით, მაგრამ საბჭოთა მხარე წინააღმდეგი იყო ასეთი არჩევნების, მისი ფალსიფიცირების მოტივით.

1947 წლის ბოლოს კორეის პრობლემის გადაჭრა თავის თავზე აიღო გაერომ, სადაც დომინირებდა დასავლეთის შეხედულება. 1948 წლის 10 მაისს სამხრეთში ჩატარდა არჩევნები და ქვეყნის პრეზიდენტად გამოცხადდა ლი სინ მანი, რომელიც ცნობილ იქნა დასავლეთის ქვეყნების მიერ.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ირ სენი კი ცნობილ იქნა საბჭოთა კავშირის, ჩინეთის და სოციალისტური ქვეყნების მიერ.

1949 წლის ივნისში ამერიკის ჯარებმაც დატოვეს კორეა, თუმცა ადგილობრივი შეიარაღებული ძალები შექმნეს პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად. კორეა სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე იდგა.

1950 წლის 25 ივნისს კიმ ირ სენმა, მოსკოვთან კონსულტაციის შემდეგ, დაიწყო აგრესია სამხრეთ კორეის წინააღმდეგ.

ამერიკამ გადაწყვიტა სწრაფი რეაგირება მოეხდინა კომუნისტების მორიგი აგრესიის წინააღმდეგ და არ დაეშვა სამხრეთ კორეაში კომუნისტური რეჟიმის დამკვიდრება.

ტრუმენმა თავის მიმართვაში ამერიკელი ხალხისადმი კორეის ომში ამერიკის ჩარევა მიაწერა არა ამერიკის ეროვ-

ნულ ინტერესებს, არამედ ძირეულ ფასეულობასა და დემოკრატიის უნივერსალური პრინციპების დაცვას. როდესაც ამერიკის ქვეითი ჯარები, 1950 წლის ივლისში ჩაებნენ ბრძოლაში, გამოცხადდა, რომ მათი ამოცანა „აგრესიის მოგერიება" იყო, თუმცა ოქტომბერში ორივე კორეის „გაერთიანებაზე" დაიწყო ლაპარაკი.

1950 წლის 26 ნოემბერს ჩინეთი ჩაება ომში და 30 ნოემბერს ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმენმა კორეის გაერთიანების საკითხი უფრო მოგვიანებითი პერიოდისათვის გადადო „მოლაპარაკების გზით" და ომის ამოცანად კვლავ „აგრესიის მოგერიება" გამოაცხადა.

მოლაპარაკებები ცეცხლის შეწყვეტის შესახებ კორეაში ჯერ კიდევ ტრუმენის დროს დაიწყო, პრეზიდენტ დუაიტ ეიზენჰაუერს (1953-1961) კი ეს ომი, სამხედრო თვალსაზრისით, უგუნურობად მიაჩნდა. 1953 წლის 27 ივნისს მოხდა დაზავება, რომლის ძალითაც სამხედრო მოქმედებები შეწყდა, მაგრამ კორეის გაერთიანება ვერ მოხერხდა.

დღესაც კი ეს კონფლიქტი არ არის საბოლოოდ გადაწყვეტილი და კორეის ნახევარკუნძული ორ ნაწილად არის დაყოფილი.

კორეის ომმა (1950-1953) ხუთი მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, აქედან ერთი მილიონი იყო ჩინელი, დანარჩენი კორეელი.

XX საუკუნის 50-იანი წლები იყო „კომუნიზმის შეკავების" დოქტრინიდან „უკუგდების" დოქტრინაზე გადასვლის პერიოდი. ამ დოქტრინის ავტორი იყო აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯონ ფოსტერ დალესი. ის თვლიდა, რომ კომუნისტებმა უკან უნდა დააბრუნონ ყველაფერი, რაც მათ უკანონოდ ჩაიგდეს ხელში. საბჭოთა კავშირი უნდა წავიდეს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპიდან და არავითარი კომპრომისი მასთან არ შეიძლება. ამ მიზნის მისაღწევად ბირ-

თვული იარაღის გამოყენებასაც კი მოითხოვდა. სულ სხვა აზრის იყო შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, რომელიც ბირთვული იარაღის გამოყენებას სამართლიანად მიიჩნევდა ცივილიზაციის დასასრულად.

საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებში მიმდინარეობდა გამალებული შეიარაღება, ატომური და წყალბადის ბომბების და საკონტინენტთაშორისო რაკეტების წარმოება. ამერიკა დარწმუნდა, რომ მარტო დასავლეთ ევროპის ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა საკმარისი არ იყო. საჭირო იყო კომუნიზმის ალაგმვა ევროპაშიც და აზიაშიც დემოკრატიული სახელმწიფოების, განსაკუთრებით სამხედრო დაჯგუფებების შეიარაღების გაზრდით.

ჰ. კისინჯერი აღნიშნავს, რომ 1952 წლის მარტში, კორეაში ომის დამთავრებამდე, სტალინმა გადადგა დიპლომატიური ნაბიჯი „ცივი ომის" შეწყვეტის მიზნით. მან გადაწყვიტა შეეჩერებინა გამალებული შეიარაღება, რომლის გაგრძელებას შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყოლოდა სოციალისტური ქვეყნებისათვის. უბრალოდ ვერ გაუძლებდნენ მის ხარჯებს. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ მოეთხოვა „ცივი ომისათვის" ბოლოს მოღება, მან მოუწოდა ვაშინგტონს ეცნო ორი გავლენის სფეროს არსებობა: ამერიკის-დასავლეთ ევროპაში და საბჭოთა კავშირის-აღმოსავლეთ ევროპაში. შუაში კი გაერთიანებული, შეიარაღებული, ნეიტრალური გერმანია.[35]

რა მიზანს ისახავდა სტალინის ეს წინადადება, მისი გარდაცვალების გამო, აუხსნელი დარჩა. საბოლოოდ ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც წინააღმდეგი იყო ევროპის გავლენის სფეროებად დანაწილებისა, ფაქტიურად

---

[35]Г. Киссинджер. Дипломатия. Глава тридцатая. Конец „холодной войны„: Рейган и Горбачев.ob. http://www.rulit.net/books/diplomatiya-read-283887-231.html

შეეგუა ამ ფაქტს. დასავლეთმა მოახდინა გერმანიის შეიარაღება, ნატოში შეყვანა და ნატოს ახალი შეიარაღებით გაძლიერება, სსრ კავშირმა კი-აღმოსავლეთ ევროპის გაერთიანება ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო დაჯგუფებაში.

ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის პრიორიტეტის დამტკიცების მცდელობა გახდა კარიბის კრიზისის მიზეზი. საბჭოთა კავშირმა 1962 წელს კუბაში განალაგა ატომური რაკეტები, რაც ცნობილი გახდა ამერიკის ხელისუფლებისათვის, რომელმაც მოითხოვა მისი გატანა დაუყოვნებლივ, რასაც მოჰყვა საბჭოეთის მხრიდან მტკიცება ასეთი რაკეტების არ არსებობის შესახებ. საბოლოოდ საბჭოთა ლიდერი ნ. ხრუშჩოვი იძულებული გახდა ეს ფაქტი დაედასტურებინა, მაგრამ ამერიკისაგან მოითხოვა გარანტია, რომ ის არ დაესხმოდა თავს კუბას, თავის რაკეტებს გაიტანდა თურქეთიდან და თვითონაც აიღო ვალდებულება კუბიდან რაკეტების გატანის შესახებ, რაც საბოლოოდ განხორციელდა კიდეც ფ. კასტროსთან შეუთანხმებლად.

1962 წლის სარაკეტო კრიზისი საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის გარდამტეხი ეტაპი გახდა თანამედროვე მსოფლიო ისტორიაში. მან ორივე მხარე მიიყვანა იმის შეგნებამდე, თუ რა კატასტროფული შედეგების მომტანი იქნებოდა ბირთვული იარაღის გამოყენება მთელი მსოფლიოსათვის. ამით კუბის (კარიბის) კრიზისმა მნიშვნელოვნად დაუდო საფუძველი იმ პროცესებს, რაც საერთაშორისო დაძაბულობის განიარაღებითაა ცნობილი და რომლის კულმინაცია იყო 1975 წლის ჰელსიკის „უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის“ მოწვევა 35 სახელმწიფოს მონაწილეობით. თათბირის დასკვნითი აქტით დადგინდა: ევროპაში ომისშემდგომი საზღვრების ურღვეობა, სადავო საკითხების მშვიდობიანი გადაწყვეტა, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა და სხვა პრინციპები.

შეერთებულმა შტატებმა ვერ შესძლო თავისი ძლიერების დემონსტრირება ვიეტნამის 1964-1975 წლების ომში. ვიეტნამში დიდი პოლიტიკური თამაში დაიწყო, რომელიც მიზნად აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონზე გავლენის მოპოვებას გულისხმობდა. ამერიკის მთავრობა ვიეტნამის ომში მონაწილეობის აუცილებლობას იმ ფაქტორით ხსნიდა, რომ კომუნისტებისათვის ვიეტნამის ჩაბარება ე. წ. „დომინოს" ეფექტს გამოიწვევდა და მთელი რეგიონი წითლების გავლენის ქვეშ მოექცეოდა.

იგივე მიზნები ამოძრავებდა საბჭოთა კავშირსაც. ვიეტნამი საბჭოეთისათვის უაღრესად მნიშვნელოვან და სტრატეგიულ რეგიონს წარმოადგენდა. მოსკოვისათვის ვიეტნამი ძირითადი მიმართულება იყო, რომლის საშუალებითაც იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში დამკვიდრებას გეგმავდა.

დასაწყისში, ვიეტნამის ომს ლოკალურ დაპირისპირებად აღიქვამდნენ, მაგრამ სულ მალე იგი სრულფასოვან საერთაშორისო სამხედრო კონფლიქტად ჩამოყალიბდა. ეს იყო „ცივი ომის" ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი" წერტილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ერთმანეთს ებრძოდა დასავლური და კომუნისტური სამყარო. ვიეტნამის ომი ერთდროულად იყო სამოქალაქო ომიც, განმათავისუფლებელი ბრძოლაც და იდეოლოგიური შეჯახებაც.

ამ კონფლიქტის დროს დაპირისპირებულმა მხარეებმა ბირთვულის გარდა, თითქმის ყველა სახეობის იარაღი გამოიყენეს. საბრძოლო ოპერაციები მიმდინარეობდა ხმელეთზე, ზღვაზე და ჰაერში. საერთო ჯამში, ბრძოლების დროს დაიხარჯა 14 მილიონი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება, რაც რამდენჯერმე აღემატებოდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდის ანალოგიურ მაჩვენებელს.

სულ საომარი მოქმედებების დროს ჩრდილოეთ ვიეტნამის მხრიდან 1,1 მილიონი სამხედრო მოსამსახურე და 2 მილიონამდე სამოქალაქო პირი დაიღუპა. სამხრეთ ვიეტნამის დანაკარგი გაცილებით ნაკლები იყო: 250 ათასი ადამიანი და დაახლოებით მილიონამდე დაჭრილი. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მიმდინარე სამხედრო კამპანია ამერიკელებს 150 მილიარდი დოლარი დაუჯდათ. მათ დაკარგეს 8612 თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 58 ათასი ჯარისკაცი მოკლულთა და 300 ათასი დაჭრილთა სახით. თუმცა მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს: ვიეტნამი გაერთიანდა (1975 წ. აპრილი) და კომუნისტური სახელმწიფო გახდა. [36]

ახალი ძალით იფეთქა დაპირისპირებამ, როცა საბჭოთა კავშირი აშკარად ჩაერია ავღანეთის საშინაო საქმეებში. ცენტრალურ აზიაში საბჭოთა კავშირს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესები ჰქონდა და ამ რეგიონზე გავლენის გაძლიერებას ცდილობდა. იმ დროს, როდესაც ავღანეთში ჰაფიზულა ამინმა ხელისუფლება შეცვალა, აზიაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძვრები მოხდა. 1979 წელს ირანში ისლამური რევოლუცია დაიწყო, რომლის შედეგადაც დაემხო პრო-ამერიკული შაჰის რეჟიმი და მის ნაცვლად სათავეში აითოლა ჰომეინის სახით ისლამური ფუნდამენტალისტები მოვიდნენ. კრემლში ჩათვალეს, რომ რეგიონში ამერიკის ინტერესების შეზღუდვისათვის და სპარსეთის ყურიდან ნავთობის ექსპორტის გაკონტროლებისათვის ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. საბჭოთა ლიდერების აზრით, ცენტრალურ აზიაში მოსკოვის გავლენის გაძლიერებისათვის ავღანეთი იდეალური პლაცდარმი იყო და 1979 წლის 12 დეკემბერს იქ ჯარები შეიყვანეს.

---

[36] მიხეილ ბასილაძე. ცივი ომის ცხელი წერტილი. გაზ. „24 საათი„, 2013 წლის 10 ნოემბერი.

საბჭოთა ჯარების მიერ ავღანეთის ოკუპაციამ მსოფლიო თანამეგობრობის აღშფოთება გამოიწვია. 1980 წლის 4 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯიმი კარტერმა (1977-1981) ამერიკელ ხალხს მიმართა და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის მიერ ავღანეთის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის გამო, ვაშინგტონი აჩერებს მოსკოვთან დადებული სტრატეგიული შეიარაღების შესახებ ხელშეკრულების რატიფიკაციას სენატში და ზღუდავს კრემლთან ეკონომიკურ ურთიერთობებს. მან განაცხადა: „ეს ინტერვენცია სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. საბჭოთა ექსპანსია ემუქრება საბჭოთა კავშირის მეზობელ ქვეყნებს სამხრეთ-დასავლეთ აზიაში და ასეთი აგრესიული სამხედრო პოლიტიკა სიმშვიდეს ურღვევს მსოფლიოს სხვა ხალხებსაც. ეს საერთაშორისო სამართლისა და გაერთიანებული ერების ქარტიის უხეში დარღვევაა, ეს არის ძლიერი, ათეისტური მთავრობის მიერ დაგეგმილი ძალისხმევა, დაიმორჩილოს დამოუკიდებელი ისლამური სამყარო.“[37]

1980 წლის 14 იანვარს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე 104-მა ქვეყანამ მხარი დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც მოსკოვს ავღანეთიდან ჯარების დაუყოვნებლივ და უპირობო გამოყვანისაკენ მოუწოდებდა. საბჭოთა მთავრობამ ამ მოთხოვნის სრული იგნორირება მოახდინა და ავღანეთის ოკუპაცია განაგრძო. ქვეყანაში პარტიზანული მოძრაობა გაიშალა, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა პროკომუნისტურ რეჟიმს და საოკუპაციო ნაწილებს.

1980 წლის იანვარში შეერთებული შტატების ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ ავღანეთში საბჭოთა ოკუპაციასთან საბრძოლველად, საიდუმლო ოპერაცია „ციკ-

[37]მიხეილ ბასილაძე. იმპერიის ბოლო ომი. გაზ. „24 საათი“ 2012 წლის 19 თებერვალი.

ლონი“ დაიწყო. ამერიკელების გეგმა ავღანეთის წინააღმდეგობის მოძრაობის იარაღით მომარაგებას და ინსტრუქტორების მეშვეობით მათ გაწვრთნას ითვალისწინებდა. ვაშინგტონმა ამ ამოცანის შესასრულებლად 20 მილიონი დოლარი გამოყო. ხოლო 1984 წელს ამ დახმარებამ 300 მილიონ დოლარს გადააჭარბა.

საერთაშორისო თანამეგობრობა აქტიურად განაგრძობდა კრემლზე ზემოქმედებას და ავღანეთიდან საოკუპაციო ძალების გაყვანას ითხოვდა. საბჭოეთზე ზეწოლის ერთერთი აქტიური ფორმა ოლიმპიური თამაშების ბოიკოტი გახდა, რომელიც 1980 წლის ზაფხულში მოსკოვში ჩატარდა. მსოფლიოს 65 ქვეყანამ მოსკოვში საკუთარი სპორტსმენები არ გააგზავნა, მართალია, ოლიმპიადა მაინც ჩატარდა, მაგრამ კრემლმა მძიმე მორალური და ეკონომიკური დარტყმა მიიღო.

1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულმა რონალდ რეიგანმა (1981-1989) თავიდანვე უკომპრომისო და პრინციპული პოლიტიკის გატარება დაიწყო საბჭოთა კავშირის ექსპანსიის შესაჩერებლად. 1983 წლის 8 მარტს, რეიგანმა ფლორიდის შტატში, ევანგელისტური ასოციაციის წინაშე გამოსვლისას, საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერია“ უწოდა და განაცხადა, რომ მისი მოღვაწეობის მთავარ მიზანს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენდა.

ავღანეთის ომმა და დასავლეთთან სამხედრო კონკურენციამ საბჭოთა კავშირი კრახის პირას მიიყვანა. ეს ომი იყო საბჭოთა კავშირის ბოლო დამპყრობლური ომი, რომელიც კრემლისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. 1989 წლის თებერვალში ავღანეთი დატოვა უკანასკნელმა საბჭოთა ჯარისკაცმა. სწორედ ავღანეთის ხანგრძლივმა სამხედრო კამ-

პანიამ დაუდო საფუძველი საბჭოთა კავშირის დასუსტებას, რაც საბოლოოდ წითელი იმპერიის კოლაფსით დასრულდა.[38]

„ცივი ომი“ წარმოებდა არა მხოლოდ პოლიტიკაში, არამედ იდეოლოგიის, კულტურის, განათლების, სპორტის სფეროში.

უზარმაზარი ხარჯების გაღება, რაც ზესახელმწიფოებს სჭირდებოდათ უპირატესობის დასამტკიცებლად, უსასრულოდ ვერ გაგრძელდებოდა, რადგან ამისათვის ძლიერი ეკონომიკა იყო საჭირო. უფრო ეფექტური ეკონომიკა, რა თქმა უნდა, დასავლეთს გააჩნდა, რომლითაც მას შეეძლო არა მარტო პრიორიტეტის დაცვა, არამედ თავისი მოსახლეობის მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილებაც. ამან საბოლოოდ იჩინა თავი იმით, რომ საბჭოთა კავშირმა ვერ გაუწია კონკურენცია დასავლეთს ამ სფეროში.

გამალებულმა შეიარაღებამ საბჭოთა ეკონომიკა დეფორმაციამდე მიიყვანა. მან ვერ გაუძლო უზარმაზარ ხარჯებს და 70-იანი წლების ბოლოს საბჭოთა სამხედრო-ტექნიკური პოტენციალი მნიშვნელოვნად შეირყა, რამაც, თავის მხრივ შეასუსტა მისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე.

როგორც ლონდონის სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით ირკვევა, „ცივი ომის“ პერიოდში საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ფინანსური ხარჯები არაერთგვაროვანი იყო. სსრ კავშირის სამხედრო ხარჯებმა 80-იანი წლების ბოლოს შეადგინა მთელი ეროვნული შემოსავლის 17,6 %, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო მიზნებისთვის დახარჯა 9 471 მილიარდი დოლარი, ანუ ეროვნული შემოსავლის 5,6%. ეს შეიძლება აიხსნას ამერიკის ეკონომიკის ეფექტურობით, რაც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის უახლესი მიღწევებით იყო

[38] მიხეილ ბასილაძე. იმპერიის ბოლო ომი. გაზ. „24 საათი“, 2012 წლის 19 თებერვალი.

განპირობებული. ამის წყალობით ამერიკის ხარჯები ნატოს სამხედრო პოტენციალისათვის შეადგენდა 30%-ს, ხოლო საბჭოთა წილი ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში იყო 80%.[39]

საბჭოთა კავშირის ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვის მოსვლით დაიწყო ე.წ. „გარდაქმნის" პროცესი. „ახალი პოლიტიკური აზროვნება", რომელიც წამოაყენა და რომლის განხორციელებას შეეცადა საბჭოთა ხელმძღვანელობა 1987-1991 წლებში, იყო მცდელობა შეენარჩუნებინათ, ახალი პოლიტიკური რეალიების გათვალისწინებით, სსრ კავშირი, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ზესახელმწიფო, თუმცა ამაოდ.

საერთაშორისო არენაზე ახალი რეალიების ჩამოყალიბებამ დიალოგის მაგიდასთან დასვა ამერიკის შეერთებული შტატების და საბჭოთა კავშირის ლიდერები-რ. რეიგანი და მ. გორბაჩოვი, ხოლო კულმინაციური პუნქტი გახდა მ. გორბაჩოვისა და ჯ. ბუშის (უფროსი) 1989 წლის შეხვედრა მალტაში, სადაც დე-ფაქტოდ დაფიქსირდა „ცივი ომის" დასრულება. შემდეგ კი მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდა. 1991 წლამდე დაეცა ბერლინის კედელი- „რკინის ფარდის" სიმბოლო, რომელიც მსოფლიოს ორ მტრულ ბანაკად ყოფდა, რის შედეგადაც გერმანია გაერთიანდა, დაიშალა სოციალისტური თანამეგობრობა, ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, ე. წ. „ხავერდოვანი რევოლუციების" შედეგად აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა ბოლო მოუღეს კომუნისტურ რეჟიმებს, დაიყო ჩეხოსლოვაკია, დაიშალა იუგოსლავია და ა.შ.

1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლამ კი წერტილი დაუსვა მსოფლიო ისტორიაში ორი სისტემის დაპირისპირებას.

---

[39]И.В.Наумов. Международные аспекты распада СССР. იხ. www.niiss.ru\mags_ naumov._shtm

სსრ კავშირის დაშლით დაინგრა მსოფლიოს ის სისტემა, რომელიც დამყარებული იყო ორი უდიდესი ძალის- საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სტრატეგიულ პარიტეტზე. „ცივი ომი“ სსრ კავშირის სრული მარცხით დამთავრდა.

შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი ჰენრი კისინჯერი თავის ნიგნში „დიპლომატია“ წერს: „ცივი ომი სწორედ მაშინ დაიწყო, როცა ამერიკა მშვიდობიანი ხანის მოლოდინში იყო და იგი სწორედ მაშინ დასრულდა, როცა ამერიკა გულმოდგინედ ემზადებოდა გაჭიანურებული კონფლიქტისთვის. საბჭოთა იმპერია ისე უეცრად დაემხო, რომ ამ კოლაპსის დამანგრეველმა შედეგებმა ვერ მოასწრო გასცდენოდა მის საზღვრებს. ამერიკამაც ელვისებურად შეცვალა რუსეთთან დამოკიდებულება. სულ რამდენიმე თვეში იგი მას მეგობრად მოევლინა“.[40]

დაპირისპირება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის „ცივი ომის“ პერიოდში იყო სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის, რამდენადაც ორივე მხარე აცნობიერებდა ომის მოსალოდნელ კატასტროფულ შედეგებს მსოფლიოსათვის. ისინი ცდილობდნენ თავი აერიდებინათ ღია სამხედრო კონფლიქტისათვის, სწორედ ამის გამო მიიღო ამ პერიოდმა „ცივი ომის“ სახელი. ორივე მხარე ემზადებოდა "ცხელი ომისათვის", უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს მსოფლიოს ყველა რეგიონში და ყველა სახის შეიარაღებით, რომელიც დააგროვეს ისეთი ოდენობით, რაც საკმარისი იყო დედამიწაზე სიცოცხლის მრავალგზისი განადგურებისათვის, მაგრამ ეს ძალა არ გამოიყენეს ერთმანეთის წინააღმდეგ და ეს იმიტომ, რომ არც ერთი მხარე არ იყო დარ-

---

[40]Г. Киссинджер. Дипломатия. Глава тридцатая. Конец „холодной войны„; Рейган и Горбачев.ob. http://www.rulit.net/books/diplomatiya-read-283887-231.html

წმუნებული თავის გამარჯვებაში თუ ეს ომი დაიწყებოდა. ეს კი უბიძგებდა მათ შეიარაღების სისტემის სრულყოფისაკენ, რათა მიეღწიათ უპირატესობისათვის. თუმცა სიახლეებს ამ სფეროში კიდევ უფრო გაუთვალისწინებელი შედეგების მოტანა შეეძლო.[41]

„ცივი ომის" დასრულებამ დღის წესრიგში დააყენა გეოპოლიტიკურ ძალთა ახალი კონფიგურაციის საკითხი, რომელსაც მსოფლიო წესრიგის ბიპოლარული სტრუქტურა უნდა შეეცვალა. რამდენადაც საერთაშორისო პოლიტიკური არენიდან გაქრა ერთ-ერთი ზესახელმწიფო-საბჭოთა კავშირი, ბუნებრივია, ჩამოყალიბდა ერთპოლუსიანი მსოფლიო წესრიგი მეორე ზესახელმწიფოს-შეერთებული შტატების მეთაურობით.

XX საუკუნეში, რომელმაც გადაიტანა ორი მსოფლიო დამანგრეველი და გამანადგურებელი ომი და მესამე მსოფლიო ომის კარიბჭესთან იდგა, აღმოცენდა შემწყნარებლობისა და ურთიერთშერიგების ძლიერი ტენდენციები და აი, ეს ტენდენციები გახდა ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების მთავარი ფაქტორი.

ერთპოლარული მსოფლიოს სტაბილურობას უზრუნველყოფს ეკონომიკური დომინირება, სამხედრო ძალები, კულტურული მიმზიდველობა. მსოფლიო ისტორიაში ბევრი ქვეყანა აკმაყოფილებდა ამ მოთხოვნებს. ევროპაში დაახლოებით 1500 წლისათვის ამ მხრივ ლიდერობდა პორტუგალია, 1620 წლისათვის- ნიდერლანდები, საფრანგეთი- 1690 და 1810 წლებში, ბრიტანეთი- 1815-1890 წლებში, გერმანია ორჯერ შეეცადა მე-20 საუკუნეში გამხდარიყო ლიდერი, თუმცა წარუმატებლად. ორი მსოფლიო ომის და ცივი ომის შემდეგ ამას მიაღწია ამერიკამ თავისი გიგანტური ეკონომი-

[41] დ. პერტაია. ცივი ომი. ... გვ. 410.

კით, საბაზრო კაპიტალის ეფექტურობით, ინფორმაციული სფეროს დაპყრობით.

ამერიკის სიძლიერის საფუძველი, უპირველეს ყოვლისა, არის ძლიერი და დინამიური ეკონომიკა, რომელიც თავისთავად წარმოადგენს საერთაშორისო გავლენის ინსტრუმენტს, აგრეთვე უზარმაზარი სამხედრო ძლიერების შექმნის ბაზას, და დემოკრატიული ინსტიტუტების მყარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის შიდა სტაბილურობას და საერთაშორისო საქმეებში თანამიმდევრულ სტრატეგიულ კურსს.

„ცივი ომისგან" განსხვავებით, როცა სამხედრო წარმატებები განსაზღვრავდნენ გლობალურ სტრატეგიას, დღეს კი პირიქით, ეკონომიკური რეალობა განსაზღვრავს მსოფლიო პროცესებს.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში ამერიკის ეკონომიკა არა მარტო უძლიერესი, არამედ ყველაზე ეფექტურიცაა.

1922 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკა ლიდერია მსოფლიო ურთიერთგაცვლაში, ფინანსურ დაწესებულებებში, საერთაშორისო ეკონომიკური დახმარების განხორციელებაში. 1990-2001 წლებში ამერიკის ეკონომიკა გაიზარდა 27%-ით, როცა დასავლეთ ევროპისა-15%, იაპონიისა მხოლოდ- 9%-ით.[42]

ამერიკის ეკონომიკური მაჩვენებლები ორჯერ აღემატება იაპონიისას, მარტო ერთი შტატის-კალიფორნიის ეკონომიკა უტოლდება საფრანგეთისა და ინგლისის მთლიან შემოსავალს.

---

[42]Heisburg F. American Hegemony? Perceptions of the US Abroad ("survival", Winter 1999-2000, გვ. 16.

1991-2003 წლებში მსოფლიო ინვესტიციების საერთო მოცულობამ შეადგინა 7 ტრილიონი დოლარი, აქედან ამერიკის ეკონომიკაზე მოდიოდა 20%.

ახალი ტექნოლოგიების მსოფლიო წარმოების 35,8% შეერთებულ შტატებზე მოდის. ამერიკა ახდენს მაღალტექნოლოგიური სფეროს მეტ ინვენსტირებას, ვიდრე ევროპა ერთად აღებული. კომპიუტერულ ტექნოლოგიაში მსოფლიო ინვენსტირების 40%-მეტი, დაახლოებით 220 მილიარდი დოლარი, ამერიკულ კომპანიებზე მოდის. კომპიუტერების საერთო რაოდენობის 40% ამერიკაშია. 90%-ზე მეტი ინტერნეტ -საიტებისა ამერიკულია.[43]

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და გაქრა ნატოს შექმნის ძირითადი საფუძველი, დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები, განსაკუთრებით ამერიკა, ახორციელებენ ამ სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის შემდგომი გაფართოებისა და განმტკიცების გეგმებს, საერთაშორისო ურთიერთობებში მისი როლის განმტკიცებას.

საბჭოეთის დაშლის შემდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების შესახებ, რასაც მოჰყვა ცენტრალური ევროპისა და პოსტსაბჭოთა სამი რესპუბლიკის ნატოში და ევროკავშირში ინტეგრაცია. თუმცა ნატოს გაფართოება არ დასრულებულა. ევროსტრუქტურებში გაერთიანებისაკენ სწრაფვამ გამოიწვია რუსეთის 2008 წლის სამხედრო აგრესია საქართველოში და უკანასკნელ პერიოდში უკრაინაში განვითარებული ცნობილი მოვლენები.

როგორც ცნობილია, ნატოს შექმნის პირველი დღეებიდანვე კომუნიზმისაგან თავდაცვის მიზნით დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა

[43] "survival" Winter 1998-99, გვ. 185.

ამერიკის სამხედრო კონტიგენტი ევროპაში გაზრდილიყო. ამიტომაც იყო, რომ ნატო-ს ევროპელი მოკავშირეების ტერიტორიებზე 200-ზე მეტი ამერიკული სამხედრო ბაზისა და სამხედრო ობიექტის განთავსება განხორციელდა მათივე ნებაყოფლობით ინტერესთა ურთიერთგათვალისწინებით. ამავე დროს, ევროპის ქვეყნების მოსახლეობის უმრავლესობა აცნობიერებდა რა საბჭოთა კავშირიდან მოსალოდნელ საფრთხეს, არ იყო ნეგატიურად განწყობილი აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის და მისი სამხედრო ბაზების მიმართ.

კომუნისტური ბანაკის დაშლის შედეგად მსოფლიოში შეიქმნა სრულიად ახალი გეოპოლიტიკური რეალობები, რის გამოც აუცილებელი გახდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ტრანსფორმაცია. „ცივი ომის" დასრულების პერიოდში, ნატოს ძირითად მიზანს წარმოადგენდა აღმოსავლეთთან კონფრონტაციის პოლიტიკიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის პოლიტიკაზე გადასვლა. ალიანსისათვის ერთერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ევროპის უსაფრთხოების ახალი სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მთავარი საფუძველი უნდა იყოს დასავლური დემოკრატიული ფასეულობები.[44] აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ნატოს გაფართოება იმ სახელმწიფოთა შეშფოთებას იწვევს, რომლებიც მხარს უჭერენ მსოფლიო პოლიტიკის დაბალანსირებული სისტემის განვითარებას და ამგვარ პოზიციას განიხილავენ, როგორც „ცივი ომის" გადმონაშთს.

ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერობა მსოფლიო მასშტაბით განპირობებულია მისი მძლავრი სამხედრო პოტენციალით.

---

[44] თორნიკე შურღაია. ძალის დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არსენალში. იხ. http://openspace.ge\

ბოლო 60 წლის განმავლობაში ამერიკამ თავისი უზარმაზარი მთლიანი ეროვნული შემოსავლის 5-დან 14%-მდე დახარჯა სამხედრო საჭიროებებზე. ამერიკის სამხედრო ბიუჯეტი გაიზარდა 304 მილიარდიდან (2001)-481 მილიარდამდე(2007), ხოლო 2012 წლისათვის მან მიაღწია 662 მილიარდ დოლარს, ანუ მსოფლიო მაჩვენებლის ნახევარზე მეტი შეადგინა.

შეერთებული შტატების სამხედრო ბაზები მიმოფანტულია მთელ მსოფლიოში: 436 ბაზა მდებარეობს სამხრეთ ამერიკასა და ევროპაში, 186-წყნარ ოკეანესა და ჩრდილოაღმოსავლეთ აზიაში, 14 -ლათინურ ამერიკასა და კარიბის აუზში, 7 ბაზა-ახლო აღმოსავლეთში, 1-ჩრდილოეთ აზიაში. საერთო ჯამში, ამერიკის 647 ბაზა დომინირებს მსოფლიოზე სამხედრო ასპექტში. ამერიკას აქვს სამხედრო ბაზები გახსნილი ან აქვს მათი განთავსების უფლება მსოფლიოს 40-ზე მეტი სახელმწიფოს ტერიტორიაზე. შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ფლოტი აკონტროლებს პლანეტის ყველა ოკეანეს, ასევე მისი საჰაერო ძალები აკონტროლებენ ექვსივე კონტინენტის საჰაერო სივრცეს.[45]

„ამერიკული ფაქტორის" დიდი მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკაზე განისაზღვრება კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებით. მსოფლიოს ყველა კუთხის ადამიანისათვის ამერიკა მიჩნეულია, როგორც სამართლიანობის, დემოკრატიის სიმბოლო.

შეერთებულ შტატებში ჯერ კიდევ სამოქალაქო ომამდე ჩამოყალიბდა, მაგრამ XIX საუკუნის ბოლოს საბოლოოდ დამკვიდრდა ორპარტიული მმართველობის სისტემა, რომელიც ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

---

[45] ძალის პრიმატი ამერიკის პოლიტიკაში. იხ. http://geonews.ge/category/9/analitics/news/193129/amerikis_politika.html

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, სწორედ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ამერიკის პრეზიდენტმა ვ. უილსონმა წამოაყენა წინადადება ომის შემდეგ ისეთი სამყაროს შექმნისა, სადაც სამუდამოდ დამყარდებოდა მშვიდობიანი ურთიერთობა. ის ამერიკული საერთაშორისო წესების კრიტერიუმებად მიიჩნევდა დემოკრატიას, კოლექტიურ უშიშროებას და თვითგამორკვევას, რაც არ ყოფილა ევროპული პრობლემების მოგვარების საფუძველი აქამდე. მეორე მსოფლიო ომის ბოლოს თითქოს იყო შესაძლებლობა ამერიკული მოდელით მსოფლიოს მოწყობისა, მაგრამ საბჭოთა კავშირის მხრიდან გააფრთებულმა წინააღმდეგობამ ის ჩაშალა და მსოფლიო „ცივ ომამდე" მიიყვანა.

შეერთებული შტატები დღეს ყველაზე ძლიერია ეკონომიკისა და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით.

ამერიკა მთლიანი შიდა პროდუქტის მასშტაბით პირველი სახელმწიფოა მსოფლიოში. მისი მთლიანი შიდა პროდუქტი შეადგენს 16 ტრილიონ დოლარს. ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ის შედის მსოფლიოს პირველ ათეულში. აშშ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებით ასევე პირველი სახელმწიფოა მსოფლიოში. იგი აწარმოებს იმდენ პროდუქციას, რამდენსაც დასავლეთ ევროპა და იაპონია ერთად.

შეერთებული შტატები კონტინენტის და ასევე მსოფლიოს ყველაზე დიდი ეკონომიკური რესურსების მქონე ქვეყანაა.

ამერიკის ბიუჯეტი 2012 წელს შეადგენდა 3,7 ტრილიონ დოლარს, სამხედრო ბიუჯეტი-671 მილიარდ დოლარს, თავდაცვის-680 მილიარდ დოლარს. ყოველწლიური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე შეადგენს 36,5 ათას დოლარს.

2014 წელს შეერთებულმა შტატებმა სამხედრო ხარჯებისათვის გამოყო 526,8 მილიარდი დოლარი.[46]

ამერიკის გავლენა მსოფლიოზე იზრდება იმ უდიდესი მიღწევების წყალობით, რომელიც მას აქვს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო მუშაობის დარგში. ამ დარგში ყოველწლიური ხარჯები შეადგენს 120-130 მილიარდ დოლარს, რაც მეტია, ვიდრე იაპონიაში, ინგლისში, საფრანგეთში და გერმანიაში ერთად აღებული. ამან განაპირობა გარე სამყაროს დამოკიდებულება ამერიკელების მიღწევებისადმი სამეცნიერო-ტექნიკურ დარგში.

სამეცნიერო კვლევები ამერიკაში უმაღლეს დონეზეა. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ამერიკელებმა 66-ჯერ მიიღეს ნობელის პრემია ფიზიკის სფეროში მიღწეული წარმატებებისათვის, 68-ჯერ მედიცინის და 42-ჯერ ქიმიის დარგში.

ამერიკის მეცნიერული კვლევების მაღალი დონე, მთავრობისა და ბიზნესის მიერ შექმნილი ხელსაყრელი პირობები ამ სფეროში, ხელს უწყობს სხვა ქვეყნებიდან, როგორც ნიჭიერი მეცნიერების, ისე სტუდენტების ლტოლვას ამერიკის უმაღლეს სასწავლებლებში.

მეცნიერული აღმოჩენები და ტექნიკური პროგრესი ხელს უწყობს სამრეწველო წარმოების ზრდას და თავის მხრივ გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესზე, იქმნება და სწრაფად ვითარდება მრეწველობის ახალი დარგები.

აშშ ლიდერია ისეთ დარგებში, როგორიცაა ელექტრონიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ბიოტექნოლოგიები და ა. შ.

ამერიკას წამყვანი ადგილი უკავია კაპიტალის გატანაში. ამერიკული კერძო ბანკებისა და მათი უცხოეთში არსებული ფილიალების მიერ გაცემული სესხები შეადგენს მთელი საერთაშორისო სესხების 50 პროცენტს. აღსანიშნავია

[46]News. Mail.ru \politics\ 16287959

ამერიკული დოლარის სპეციფიკური მდგომარეობა მსოფლიო ფინანსურ სისტემაში.

ცნობილი პოლიტოლოგის ს. ჰანტიგტონის აზრით: „მეოცე საუკუნე ამერიკის საუკუნე იყო. ოცდამეერთე საუკუნეც ამერიკული საუკუნე იქნება".

ამერიკელი პოლიტოლოგის და სახელმწიფო მოღვაწის ზბ. ბჟეზინსკის აზრით, შეერთებული შტატების ძლიერებას მინიმუმ უახლეს 25 წელიწადში ვერავინ ვერ გაუწევს მეტოქეობას.

შეერთებული შტატების ყოფილი სახელმწიფო მდივანი მ. ოლბრაიტი აღნიშნავს, რომ ამერიკას „ვერავინ აუვლის გვერდს, ის რჩება უმდიდრეს, უძლიერეს, საკმაოდ გახსნილ საზოგადოებად მსოფლიოში. ის არის ეკონომიკური ეფექტურობის და ტექნოლოგიური ნოვატორობის ნიმუში."[47]

მ. ოლბრაიტი ასე განსაზღვრავდა ამერიკის სტრატეგიას მსოფლიოში: „ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენი დროის მსოფლიო ისტორიის შემოქმედნი. ამერიკის ძლიერება გამოყენებული იქნება იმისათვის, რომ გადაჭრით მოვახდინოთ ზემოქმედება ჩვენი დროის ისტორიისა და კანონების ორმოცდაათ პროცენტზე". [48] ეს იყო მინიშნება, რომ ისტორიიდან კომუნიზმის გაქრობა, საბაზრო ურთიერთობების და დემოკრატიული მოწყობის იდეების ტრიუმფი, არ ნიშნავდა შეერთებული შტატების გლობალური მისიის დასრულებას. პირიქით, ახალი ვითარება ფანტასტიკურ შესაძლებლობებს აძლევს მას იყოს ერთადერთი ზესახელმწიფო.

ს. ტელბოტი (აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის მოადგილე და ბრუკინგსის ინსტიტუტის პრეზიდენტი) მიიჩნევს, რომ თუ ამერიკა არ უზრუნველყოფს მსოფლიო ლიდე-

---

[47]Santis De H. Mutualism. An American Strategy for the Next Century ("World Policy Journal", Winter 1998\99. გვ. 42.

[48]Walker M. The President They Deserve. London: Vintage Books, 1997, გვ. 365.

რობას, არავის შეუძლია მის ნაცვლად წარმართოს მსოფლიო კონსტრუქციული, პოზიტიური მიმართულებით.

ლონდონის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გორდონ ადამსის აზრით, „არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია სამხედრო ბიუჯეტი, შეიარაღებული ძალები, ტექნოლოგია, სამხედრო ორგანიზაცია, როგორც ამერიკელებს. ერთად აღებულ ევროპულ სამხედრო სტრუქტურებსაც კი ათწლეულები დასჭირდებათ, რათა ამერიკულ დონეს მიაღწიონ, გაცილებით მეტი დრო დასჭირდება ჩინეთს თავისი სამხედრო სისტემის რესტრუქტურიზაციისათვის და რუსეთს თავისი უწინდელი სამხედრო ძლიერების აღსადგენად."

ამერიკის ყოფილი სახელმწიფო მდივნის კ. რაისის აზრით, „შეერთებული შტატები აღმოჩნდნენ ისტორიის სწორად შერჩეულ მხარეს".[49]

ძალზე ფრთხილი პესიმისტებიც კი დარწმუნებულნი არიან, რომ მინიმუმ 20 წლით შეინარჩუნებს ამერიკა მსოფლიო ლიდერობას.

პოლიტოლოგთა და ანალიტიკოსთა გარკვეული ნაწილი კი მიიჩნევს, რომ შეერთებულ შტატებს მსოფლიო ლიდერობაში მეტოქეობას უწევენ ევროკავშირი, ჩინეთი და იაპონია. მათი აზრით, XXI საუკუნე უფრო წყნარი ოკეანის ქვეყნების საუკუნედ გადაიქცევა, სადაც ჩინეთს ექნება დომინირებული მდგომარეობა. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ამერიკელ პოლიტოლოგთა დიდი ნაწილი. ჩ. კრაუტჰამერი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ „უკანასკნელი ათასი წლის მანძილზე ჯერ კიდევ არ ყოფილა სამხედრო სფეროში ასეთი უზარმაზარი გარღვევა №1 და №2 სახელმწიფოებს შორის... ეკონო-

[49] Rice C. Promoting the National Interest ("Foreign Affairs", Jan|Feb. 2000, გვ. 46.

მიკა? ამერიკული ეკონომიკა ორჯერ მეტია მისი უახლესი კონკურენტის ეკონომიკაზე".[50]

ახალ ათასწლეულს მსოფლიო ახალი გამოწვევებით შეხვდა: გაძლიერდა ტერორიზმი და საერთაშორისო კრიმინალი. 2001 წლის 11 სექტემბერს შეერთებულ შტატებში დატრიალებულმა ტრაგედიამ, რომელმაც 3 ათასი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ყველას დაანახა, რომ მსოფლიოს ეს ზესახელმწიფო არც ისეთი ყოვლისშემძლეა, როგორც ჩანს. ტერორიზმი ამერიკისათვის მნიშვნელოვანი პრობლემაა, რადგან მსოფლიოს ასეთ ძლიერ სახელმწიფოსთან ხანგრძლივი დაპირისპირება ნებისმიერი სახელმწიფოს ძალებს აღემატება, ტერორიზმი კი ერთგვარად სეპარატისტული ბრძოლის სახეა, რომელიც იმდენად მოულოდნელი შეიძლება აღმოჩნდეს ამერიკისათვის, რომ მოქმედების დროც კი აღარ დარჩეს.

2001 წლის 7 ოქტომბერს, 11 სექტემბრის ტერაქტიდან თითქმის ერთ თვეში, ამერიკის და ნატოს სამხედრო ძალებმა ავღანეთში ალ-ქაიდას და თალიბანის წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს ამ ომის უსწრაფესად დამთავრების იმედით, თუმცა საომარი მოქმედებები დღემდე გრძელდება და ყველაზე უფრო ძნელ პერიოდში იქ 100 000 ამერიკელი ჯარისკაცი იბრძოდა.

თალიბებს აფარებდა თავს 11 სექტემბრის შემოქმედი, უსამა ბინ ლადენი და ალ-ქაიდას წევრთა დიდი ნაწილი. აღსანიშნავია, რომ 11 სექტემბერსვე, ავღანეთში მოკლეს თალიბების პოლიტიკური მოწინააღმდეგე, აჰმად შაჰ მასუდი, იგივე „პანშერის ლომი", ავღანეთში ტაჯიკური თემის ლიდერი.

---

[50]Renwick N. America`s Word Identity. The Politics of Exclusion. New York: St. Martin`s Press, 2000, გვ. 64.

შეერთებულმა შტატებმა „ოპერაცია ჩამოუშლელი თავისუფლება“ 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ დაიწყო. ვაშინგტონმა ავღანეთის მაშინდელ მთავრობას თალიბებს, ბინ ლადენის გადაცემა მოსთხოვა. „თალიბანმა“ საპასუხოდ განაცხადა, რომ ვაშინგტონმა საკმარისი მტკიცებულებები არ წარადგინა იმის დასტურად, რომ ტერაქტების უკან ნამდვილად უსამა ბინ ლადენი დგას.

7 ოქტომბერს ამერიკამ და მისმა მოკავშირეებმა ავღანეთში ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია დაიწყეს. ეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ისტორიაში მე-5 მუხლის ამოქმედების პირველი შემთხვევაა. მე-5 მუხლის მიხედვით, ალიანსი, მის რომელიმე წევრზე თავდასხმას, ალიანსის ყველა წევრზე თავდასხმად განიხილავს.

საბრძოლო მოქმედებების პირველი თვის განმავლობაში, ამერიკული ავიაცია „თალიბანის“ სამხედრო ობიექტებს ჰაერიდან ბომბავდა, გაანადგურა ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა და ავიაცია. ხორციელდებოდა სახმელეთო ოპერაციებიც. საჰაერო ომში ძირითად როლს სტრატეგიული ბომბდამშენები ბ-1ბ, ბ-2 და ბ-52 ასრულებდნენ.

ნატოს შეტევამ თალიბებს ქვეყანაზე ფორმალური კონტროლი დააკარგვინა. ისინი იძულებულნი გახდნენ, ქალაქები დაეტოვებინათ. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდნენ. ამერიკულ B-52 ტიპის ბომბდამშენს იოლად შეუძლია ძალის ნებისმიერი კონცენტრაცია გაანადგუროს ჰაერიდან. მაგრამ თალიბებმა კარგად ისარგებლეს ამერიკის გარღვევით დაზვერვის ნაწილში, გადაჯგუფდნენ და პარტიზანული ბრძოლა გააჩაღეს.

2001 წლის 7 დეკემბერს ქაბული დაეცა. მებრძოლების ნაწილი პაკისტანში გაიხიზნა. ორთვენახევრიანი სამხედრო ოპერაცია, შტატებისა და დიდი ბრიტანეთის ეგიდით, წარ-

მატებით დასრულდა –„თალიბანი“ გადააყენეს, ქვეყანას სათავეში ჰამიდ კარზაი ჩაუდგა.

2003 წელს „თალიბანის“ გააქტიურების გამო, გაეროს უშიშროების საბჭომ, ISAF-ის პასუხისმგებლობის ზონის - გაზრდის გადაწყვეტილება მიიღო. 2006 წლის პირველ აგვისტოს ნატომ ამერიკისაგან სარდლობა გადაიბარა.

2011 წლის 2 მაისს მსოფლიოს №1 ტერორისტი უსამა ბინ ლადენი ამერიკის სპეცსამსახურებმა ისლამაბადის სიახლოვეს მოკლეს.

ავღანეთის ომი შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი და ძვირადღირებული სამხედრო კონფლიქტია.

დამოუკიდებელი ინტერნეტ-პორტალის iCasualties.org–ის მონაცემებით, კონკრეტულად აშშ "ჩამოუშლელ ოპერაციაზე" თვეში 7 მილიარდ დოლარს ხარჯავს. მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატები ყველაზე სერიოზული კონტრიბუტორია ISAF–ის ოპერაციაში, ის მარტო სრულიადაც არაა – მსოფლიოს 212 ქვეყნიდან 48-ს (აშშ-ს ჩათვლით) ჯამში 152 ათასი სამხედრო პირი ჰყავს წარგზავნილი აზიაში.

152 ათასი ადამიანი იბრძვის იმისათვის, რომ შესრულდეს 2001 წელს ამერიკისა და ნატოს მიერ დასახული შემდეგი ამოცანები: შეიქმნას და გაძლიერდეს ავღანეთის სახელისუფლო ინსტიტუტები, რომლებიც ძალაუფლებას განახორციელებენ, მათ შორის პროვინციებზეც; შეიქმნას ქმედუნარიანი ჯარი, პოლიცია და უშიშროების სისტემა, რომელიც ეტაპობრივად გააკონტროლებს ტერიტორიებს და ბოლოს აბსოლუტურად განეიტრალდეს „ალქაიდას“ და „თალიბანის“ გავლენა.

კოალიციის შემადგენლობაში საქართველო, როგორც დასავლური ცივილიზაციის ნაწილი, თავიდანვე იყო ჩართული. ქართველი ჯარისკაცები მონაწილეობდნენ თითქმის ყველა იმ სამხედრო ოპერაციაში, რომელსაც ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აწარმოებდა.

დღეისათვის ავღანეთში, ქაბულსა და ჰელმანდის პროვინციაში 935 ქართველი ჯარისკაცი მსახურობს.

ამჟამად ნატოს არანაკლებ სახელმწიფოებს შორის ავღანეთში ყველაზე მეტი ჯარისკაცი ავსტრალიას ჰყავს –1 550. ჩვენი შეიარაღებული ძალების კიდევ ერთი ბატალიონის (749 ჯარისკაცი) გაგზავნის შემდეგ კი, პირველ ადგილს უკვე საქართველო დაიკავებს.

ოპერაციაში ჩართვიდან დღემდე, საქართველომ 15 სამხედრო დაკარგა.

ომმა ერაყში სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც 2003 წლის 20 მარტს დაიწყო, შეარყია ამერიკის ავტორიტეტი. ომის მთავარი მიზეზი გახდა ცნობები იმის შესახებ, რომ ერაყის პრეზიდენტს სადამ ჰუსეინს მასობრივი განადგურების იარაღი ჰქონდა. ომი ერაყში 7 წელიწადსა და 8 თვეს გაგრძელდა, თუმცა ეს ცნობები არ დადასტურდა. ომს 4400 ამერიკელი და 100 ათასზე მეტი ერაყელი შეეწირა და იგი რამდენიმე მილიარდი დოლარი დაჯდა.

ერაყის ყოფილი დიქტატორი, 69 წლის სადამ ჰუსეინი კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ბრალდებით 2006 წლის 5 ნოემბერს სიკვდილით დასაჯეს.

ამერიკის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა რობერტ გეითსმა ეს ომი ასე შეაფასა: „ბევრი ამერიკელისათვის, ვფიქრობ, ამ ომის პრობლემა იმ წინაპირობაშია, რომლის გამოც ჩვენ ამ ომში ჩავებით და რომელიც არ იყო გამართლებული. მაშინაც კი თუ შედეგი აშშ-ს თვალთახედვით კარგი

იქნება, ამას ყოველთვის გადაფარავს ის, თუ როგორ დაიწყო ეს ომი"

შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა კი აღნიშნა, რომ ამ ომმა ამერიკელები დაყო, თუმცა მათ ზურგი არასოდეს შეუქცევიათ თავიანთი სამხედროებისათვის. მისი თქმით, ოპერაცია „ერაყის თავისუფლება" დასრულდა და აშშ-ს და ერაყის ურთიერთობაში ახალი მისია „ახალი განთიადის ოპერაცია" იწყება. ვიცე-პრეზიდენტმა აღიარა ის მძიმე დანაკარგები, რომელიც ერაყს ამ კონფლიქტის დროს ჰქონდა და ისიც აღნიშნა, რომ ამ დანაკარგებზე ყურადღება აუცილებლად უნდა გაამახვილონ.[51]

ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, როგორც ერთადერთი ყოვლისშემძლე სახელმწიფოს, შესაძლებლობები, აკონტროლოს ვითარება მსოფლიოში, შეზღუდულია.

ამერიკა ვეღარ ახერხებს ერთპიროვნულად მიიღოს რაიმე სამხედრო ან ეკონომიკური ჩარევის გადაწყვეტილება, იგი ვერ მოახვევს საკუთარ სურვილებს დანარჩენ ქვეყნებს, რადგან სხვა დიდ სახელმწიფოებს პროცესის შესაჩერებლად ვეტოს უფლების გამოყენება შეუძლიათ, რაც ერთპოლარული სამყაროს ცნებას ძირს უთხრის.

ისტორიულად, ტოტალიტარული ქვეყნები ცდილობენ, ისარგებლონ თავისუფალი სამყაროს ნებისმიერი სისუსტით, რომ საკუთარი სარგებლისათვის არსებული წესრიგის რევიზია მოახდინონ.

სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, მიუხედავად რუსეთის დასუსტებისა, ისევ გრძელდება მისი მმართველი წრეების მისწრაფებები მეზობელ ქვეყნებზე თავისი გეოპოლიტიკური გავლენის შენარჩუნებისათვის, დიდმპყრობელური პო-

[51] ლ. ხმალაძე. 7 წელი, 8 თვე და 12 დღე- ერაყში ომი დასრულდა. გაზ. „რეზონანსი", 2010 წლის 2 სექტემბერი.

ლიტიკის გაგრძელების, საზღვრების უცერემონიოდ დარღვევის, ეკონომიკური სანქციების გამოყენების და სხვა სახის ბარბაროსული მეთოდებით ზემოქმედების მოსახდენად.

რუსეთი კვლავ უბრუნდება ისტორიის მიერ უარყოფილ მტრის სახის შექმნის და კონფრონტაციის პერიოდს, მხარს უჭერს სეპარატისტულ მოძრაობებს სხვაგან, ხოლო თავისი ქვეყნის შიგნით სისხლში ახშობს ასეთ მოძრაობას, ცდილობს გაამწვავოს საერთაშორისო ვითარება, დაძაბულობა შექმნას მსოფლიოში და მიაღწიოს კონფრონტაციას და ურთიერთდაპირისპირებას დიდ სახელმწიფოებს შორის.

შეერთებული შტატების გავლენის ზრდა პოსტსაბჭოთა სივრცეში და პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილის სწრაფვა ევროსტრუქტურებში გაერთიანებისაკენ რუსეთის მმართველი წრეების გაღიზიანებას იწვევს. ამიტომ ამ ქვეყნებზე თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციების შენარჩუნებას სამხედრო ინტერვენციის განხორციელებით ცდილობს. ამის დასტურია 2008 წლის აგვისტოს ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, როდესაც რუსული სამხედრო ძალები შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე და ამით დაარღვიეს ცივი ომის შემდგომი რეგიონული უსაფრთხოების წესრიგი ისე, რომ აშშ-ის მხრიდან ეფექტური პასუხი არ მიუღიათ. შემდგომში რუსეთმა არ შეასრულა საქართველოსთან ევროკავშირის შუამავლობით გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებაც; დატოვა სამხედრო ძალები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ოკუპირებული ტერიტორიები დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარა. რუსეთის ქმედებები სამწუხაროდ დაუსჯელი დარჩა, რამაც მას ახალი ბიძგი მისცა იგივე სცენარით იმოქმედოს უკრაინის მიმართაც. რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, რაც გამოიხატა ყირიმის შემოერთებაში და რუსეთიდან მომდინარე სხვა მოსალოდნელი აგრესიული ქმედე-

ბები, დიდი გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც ამერიკას, ისე მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას.

ამერიკის მხრიდან გულგრილობისა თუ სისუსტის ნებისმიერი გამოვლინება მომავალში, შეიძლება, ჯაჭვური რეაქციის გამომწვევად იქცეს.

გასაგებია, რომ რუსეთის გადაქცევა საერთაშორისო სისტემის განუყოფელ დემოკრატიულ ნაწილად, ამერიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ამას ემსახურება შეერთებული შტატების მოქმედი პრეზიდენტის ბარაკ ობამას „გადატვირთვის" პოლიტიკა რუსეთთან, თუმცა ჯერჯერობით წარუმატებლად.

ერთპოლუსიანი სამყაროს ცნებას საფრთხეს უქმნის მსოფლიოს გლობალური პრობლემები, რაც დასავლეთის ტექნოგენური ცივილიზაციის შედეგია. ეს პრობლემები არ შეიძლება გადაწყდეს რომელიმე ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მასშტაბით, რადგან ისინი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სიღატაკის პრობლემა, ბირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილება, პლანეტის ბუნებრივი რესურსების გამოფიტვა, ეკოლოგიური უსაფრთხოება, ტერორიზმი, ნარკომაფია, ორგანიზებული დამნაშავეობა და ა.შ. ერთ, თუნდაც უძლიერეს სახელმწიფოს , არ ძალუძს გადაწყვიტოს.

თუმცა შეერთებული შტატები ჯერაც რჩება ყველაზე მძლავრ სამხედრო-ეკონომიკურ სახელმწიფოდ, რომელსაც ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამხედრო საშუალებებით შეუძლია დაასუსტოს ნებისმიერი არასასურველი რეგიონალური თუ მსოფლიო მოთამაშე.

მსოფლიო ჯერჯერობით ეგუება შეერთებული შტატების ჰეგემონიას, რაც იმითაა განპირობებული, რომ:1) მას ალტერნატივა არ გააჩნია. ამერიკელი მკვლევარის ჩ. კრაუტჰამერის აზრით, „ერთპოლუსიანობის ალტერნატივა არასტაბილური, სტატისტიკური მრავალპოლუსიანი მსოფ-

ლიოა. ჩვენ მეთვრამეტე საუკუნეში არ ვცხოვრობთ, სადაც განვითარებული სახელმწიფოები, როგორიცაა ევროპა, რუსეთი, ჩინეთი, ამერიკა და იაპონია, თამაშობდნენ ერში უდიდეს როლს. ერთპოლუსიანობის ალტერნატივა ქაოსია".

2) მსოფლიო ეგუება ამერიკის ჰეგემონობას არა მხოლოდ მისი განუსაზღვრელი სიძლიერის გამო, არამედ იმის გამო, რომ ის არ შეეცდება ამ სიძლიერის მტრულად გამოყენებას. კ. უოლტსის აზრით, ამერიკის, „როგორც მოწინავე ქვეყნის გონივრული საგარეო პოლიტიკა მოითხოვს, მიღწეული წარმატებები არ იქნეს მწარედ პროვოცირებული სხვა სახელმწიფოების გასამწარებლად, მათ დასაშინებლად"

ამერიკის ძალა იმაშია, რომ შესძლო მთავარი პოტენციური მოწინააღმდეგეების კეთილგანწყობის მოპოვება, ამერიკული პოლიტიკური ინსტიტუტების გახსნილობის დემონსტრირება.

3) ამერიკის შეერთებული შტატებისადმი დაპირისპირება საშიშია და ნაკლებპერსპექტიული. არც ერთი დიდი სახელმწიფო არ ცდილობს თავისი შესაძლებლობებით დაუპირისპირდეს ამერიკის შეერთებულ შტატებს. უფრო მეტი, მათი უმრავლესობა უერთდება ლიდერს, თუნდაც იზღუდებოდეს თავის შესაძლებლობებში. ერთი შეხედვით, მსოფლიოში გავლენის გადანაწილება არ უტოვებს მათ რეალისტურ იმედს ამერიკის შეერთებულ შტატებთან დასაპირისპირებლად.

4) გეოპოლიტიკურ ჰორიზონტზე არ ჩანს უშუალო საფრთხე ამერიკის უნიკალური მდგომარეობისათვის.

ამერიკელ მკვლევართა უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ თანამედროვე ვითარება შეერთებულ შტატებს

კიდევ დიდი ხნით შეუნარჩუნებს ზესახელმწიფოს სტატუსს XXI საუკუნეშიც.[52]

ამასთან, ამერიკელი პოლიტოლოგები რ. კაგანი და უ. კრისტოლი დარწმუნებულნი არიან, რომ „ჰეგემონობა სრულებითაც არ არის „ქედმაღლობის“ გამოვლინება დანარჩენ სამყაროსთან ურთიერთობაში-ეს უბრალოდ ამერიკული ძლიერების გარდუვალი განხორციელებაა“.[53]

ამერიკული წყობა დემოკრატიულია. დემოკრატია, რომელიც თავისუფლებაზე და თანასწორობაზეა დაფუძნებული, ნარმართავს კანონებს და საზოგადოებრივ აზრს ქვეყანაში, ასევე ცხოვრების რიტმს. ეს ორი ფაქტორი განაპირობებს ქვეყანაში „თავისუფალ დემოკრატიას“. ამერიკელები თავად იღებენ ქვეყნის შენებაში მონაწილეობას. ისინი ჩართულები არიან პოლიტიკურ საქმიანობაში, თავისუფლად გამოხატავენ საკუთარ აზრს და ამ საქმიანობაში მათ ხელს არავინ უშლის. ისინი პატივს სცემენ ქვეყნის კანონმდებლობას ქონების უფლების, თავისუფლების და რწმენის შესახებ. ჩამოყალიბებული აქვს საერთო აზრი, რაც ქმნის ერთიანობის განცდას მოქალაქეებში.

ამერიკული წყობის ერთადერთი საწყისია ხალხის მმართველობის პრინციპი. ისტორიულად ისე ჩამოყალიბდა ამერიკული საზოგადოება, რომ მოსახლეობის დიდ მასას გააჩნია მეტ-ნაკლებად ერთნაირი შესაძლებლობები აწარმოონ ეკონომიკური საქმიანობა, შეიძინონ ცოდნა და ეზიარონ პროფესიულ საქმიანობას, რომელსაც მისდევს უმრავლესობა.

ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერენ იმ ძირეულ ღირებულებებს, რომლებიც მისი არსებობის საფუძ-

---

[52] Анатолий Уткин. Американская империя. იხ. www. Bookreader.php\58961\Utkin_ Amerikanskaya imperiya. html

[53] Kagan R. and Kristol W. The Present Danger (`The National Interest~, Spring 2000, გვ. 67.

ველს შეადგენენ. ეს ღირებულებანი გულისხმობენ პიროვნების თავისუფლების იდეას, დემოკრატიულ მმართველობას, ეკონომიკური კეთილდღეობის დამყარებას და პროგრესს ყველასათვის. ამერიკის უცვლელ ამოცანად რჩება სხვების დარწმუნება იმაში, რომ თავისუფლება, დემოკრატია და კეთილდღეობა დაცული და აყვავებული იქნება.

„ის მსოფლიო, რომელიც ცივი ომის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბდა ამერიკის ლიდერობით-უფრო სამართლიანია, ვიდრე ნებისმიერი მისი ალტერნატივა. მრავალპოლუსიანი მსოფლიო, რომელშიც გავლენა განაწილებულია შედარებით თანაბრად დიდ სახელმწიფოებს შორის-ჩინეთისა და რუსეთის ჩათვლით- იქნება შეუდარებლად უფრო საშიში და უფრო შორს დემოკრატიისა და ინდივიდუალური თავისუფლებისაგან".[54]

ინგლისური ჟურნალის „ეკონომისტის" გამომცემლის უ. ემოტის აზრით, „ამერიკას პირველად აქვს შესაძლებლობა და მოტივაცია მთელი მსოფლიოს გარდასაქმნელად".[55]

შეერთებული შტატები დღეს მშვიდობისა და დემოკრატიის დასაყრდენია მთელს მსოფლიოში. ამით არის განპირობებული პატარა, შედარებით დაუცველი ქვეყნების ლტოლვა აშშ-ს ეგიდით არსებულ ნატოს ალიანსში გაწევრიანებისაკენ, რომელიც წარმოადგენს საიმედო თავშესაფარს აგრესიული ქვეყნების ხელყოფისაგან. თუმცა, თუ რა იქნება მომავალში, რამდენად ხანგრძლივად შესძლებს ამერიკის შეერთებული შტატები შეინარჩუნოს ამჟამინდელი სტატუსი მსოფლიოში, დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეფექტური იქნება მისი პასუხი ახალ გლობალურ გამოწვევებზე.

---

[54] Kagan R. and Kristol W. The Present Danger (`The National Interest~, Spring 2000, გვ. 69.

[55] „The Economist, June 29, 2002, გვ. 3.

DODO PERTAIA

THE FORMATION OF THE UNITED STATES OF AMERICA INTO A MODERN SUPERPOWER

(Summary)

The present work discusses the way which passed the United States to a modern superpower.

The focus is on the United States development's supporting factors that made it possible for the US economic and political advancement, which in turn, contributed to the intensification of world politics.

In this work are discussed the consequences of the First and the Second World Wars for the United States of America. It is emphasized that the First World War's the most important result for the US was the beginning process of forming it as the new superpower,. The United States became a world power , which seeks to establish the role of arbiter in the world after the war , and after the World War II it has been one of the established superpower .

The article analyzes the reality of the Second World War . It is emphasized that was created a geopolitical vacuum , the correlation of forces was broken The arrangement of the American model failed. Two sided structure of international relations has been established , which led to the " Cold War ". In

the confrontation of the two superpowers - the U.S. and the USSR in all areas of public life , the Soviet Union was defeated.

The paper discusses the different views on the prospects of development of the United States as a modern superpower , and it is concluded that the United States is able to maintain this status for a long time , to the extent appropriate actions to effectively manage the new global challenges.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა:

1. მიხეილ ბასილაძე. ცივი ომის ცხელი წერტილი. გაზ. "24 საათი", 2013 წლის 10 ნოემბერი
2. მიხეილ ბასილაძე. იმპერიის ბოლო ომი. გაზ. „24 საათი", 2012 წლის 19 თებერვალი
3. ვუდრო ვილსონი- «როდესაც ომი დამთავრდება, ჩვენ ვაიძულებთ მეომარ ქვეყნებს იაზროვნონ ჩვენებურად". იხ. https:\\nanaberuashvili.wordpress.com\
4. ალ. მენთეშაშვილი. საერთაშორისო ურთიერთობების და დიპლომატიის ისტორია, წიგნი 11, 1799-1918, თბ., 2000.
5. ს. მანჯავიძე. დასავლეთი, ანუ აშშ-ევროკავშირი და საქართველო. გაზ. "რეზონანსი", 2013 წლის 23 დეკემბერი
6. ნ. ნანიტაშვილი. ამერიკის შეერთებული შტატების 100 წლის ისტორია- XX საუკუნე. თბ., 2002
7. დ. პერტაია. ცივი ომი. " თეიმურაზ მიბჩუანი-70". გამომც." მერიდიანი", თბ., 2008-2010
8. თ. შურღაია. ძალის დიპლომატია ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის არსენალში. იხ. http://openspace.ge\
9. ლ. ხმალაძე. 7 წელი, 8 თვე და 12 დღე- ერაყში ომი დასრულდა. გაზ. „რეზონანსი", 2010 წლის 2 სექტემბერი
10. ამერიკის ეკონომიკა 1910-1920 წლებში. იხ. http://sheimecne.wordpress.com/tag/
11. ამერიკის ისტორიის ესკიზები. შეერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტო.
12. როგორ გამდიდრდა აშშ. იხ. http:\saqinform.ge\.
13. ძალის პრიმატი ამერიკის პოლიტიკაში. იხ. http://geonews.ge/category/9/analitics/news/193129/amerikis_politika.html

14.Г.Киссинджер.Дипломатия.об.http://www.rulit.net/books/diplomatiya-read-283887-231.html
15. А. А. Кредер. Новейщая история. xx век. М.1996
16.И.В.Наумов. Международные аспекты распада СССР. об. www.niiss.ru\mags_naumov._shtm
17. А. И. Уткин. Американская империя. об. www.bookreader.php\58961\Utkin_Amerikanskaya_imperiya.html
18.А.И.Уткин. Единственная сверхдержава. М. 2004. об. http://www.rulit.net/books/edinstvennaya-sverhderzhava-read-193500-1.html
19.Маикл Джей Фридман. Холодная война: испытание американской мощи и проверка идеалов. об. www.usinfo.state.gov\journals\ijpr\Friedman.htm
20. Шлезингер А. М. Циклы американской истории. М. 1992
21.Большая актуальная политическая энциклопедия \под общ. ред. А. Белякова и О. Матвейчева. М.:ЭКСМО, 2009
22. Adams B. America's Economic supremacy. N.-Y., 1900
23. Link A (ed.) The Papers of Woodrow Wilson W. An Address to the senate. January 22, 1917,v. 40, Princeton, 1982
24. Churchill & Roosevelt. The Complete Correspondence, 3 vols.,ed. By Warren F.Kimball. T.11, Princeton: Princeton Univ. Press, 1984
25. Elliot Roosevelt. As He Saw it. N.Y.: Duell, Sloan and Pearce. 1946
26. John Lewis Gaddis. The United States and the Origins of the Cold War. N.Y.: Colambia Univ. Press, 1972
27. Heisburg F. American Hegemony? Perceptions of the US Abroad ("survival", Winter 1999-2000
28 . " survival", Winter 1998-99

29 . News. Mail.ru \politics\ 16287959
30. Santis De H. Mutualism. An American Strategy for the Next Century ("World Policy Journal", Winter 1998\99
31. Walker M. The President They Deserve. London: Vintage Books, 1997
32. Rice C. Promoting the National Interest ("Foreign Affairs", Jan|Feb. 2000
33. Rcnwick N. America`s Word Identity. The Politics of Exclusion. New York: St. Martin`s Press, 2000
34. Kagan R. and Kristol W. The Present Danger (~The National Interest", Spring, 2000
45. The Economist, June 29, 2002

სარჩევი

§ 1. შეერთებული შტატების განვითარების თავისებურებები XVIII- XIX საუკუნეებში 3

§ 2. მსოფლიო ომები და შეერთებული შტატების სწრაფვა გლობალური ლიდერობისაკენ.....16

§ 3. "ცივი ომი" და აშშ-ს, როგორც თანამედროვე ზესახელმწიფოს, პერსპექტივები 41

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე).....81

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა 83



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge